

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის  
მეოთხე სემესტრის სტუდენტის  
ალექსანდრე ძირკვამის

სამაგისტრო ნაშრომი  
თემაზე:

"აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის და გაუქმების პრობლემური  
საკითხები"

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ.  
ირინა აქუბარდია



თბილისი  
2019 წელი

## გამოყენებული აბრევიატურა

სსსკ- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სსკ- სისხლის სამართლის კოდექსი

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

ე. წ. - ეგრეთ წოდებული

წსს - წინასასამართლო სხდომა

ევროპული სასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროპული კონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

იხ. - იხილეთ

ქ. - ქალაქი

აგრ. - აგრეთვე

რედ. - რედაქტორი

გამომც. - გამომცემლობა.

ე.ი. - ესეიგი.

## სარჩევი

შესავალი.....	4
<b>1. აღკვეთის ღონისძიების არსი და საფუძვლები .....</b>	<b>5</b>
1.1 აღკვეთის ღონისძიების არსი, მიზნები და საფუძველი.....	5
1.2 აღკვეთის ღონისძიების სახეები.....	6
1.2.1 გირაო .....	7
1.2.2 შეთანხება გაუსვლელობასა და სათანადო ქცევის შესახებ.....	7
1.2.3 პირადი თავდებობა .....	8
1.2.4 სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა .....	8
1.2.5 პატიმრობა.....	8
<b>2. პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები .....</b>	<b>12</b>
2.1 პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები .....	12
2.2 ბრალდებულის მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე.....	13
2.3 მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და განადგურების საფრთხე.....	15
2.4 ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....	18
2.5 პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრილში .....	20
<b>3. აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების პრობლემები.....</b>	<b>23</b>
3.1 სახელმწიფო მბრალდებლის მიერ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება .....	23
3.2 მოსამართლის მიერ პატიმრობის გამოყენების დასაბუთება .....	25
3.3 პატიმრობის გამოყენების დასაბუთების საერთაშორისო სტანდარტი .....	27
3.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე .....	29
<b>4. პატიმრობის ხანგრძლივობა .....</b>	<b>29</b>
4.1 პატიმრობის 9 (ცხა) თვიანი ვადა.....	29
4.2 პატიმრობის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა.....	31
4.3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის N#/3/646 გადაწყვეტილება.....	32
<b>5. პატიმრობის შეცვლა სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით.....</b>	<b>33</b>
5.1 პატიმრობის შეცვლის სამართლებრივი საფუძვლები.....	34
5.2 პატიმრობის შეცვლის სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემები .....	37
<b>6. პატიმრობის გაუქმება ან/და ძალაში დატოვება .....</b>	<b>37</b>
6.1 სასამართლოს ვალდებულება საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი.....	37
6.2 მხარის მოთხოვნის საფუძველზე პატიმრობის გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.....	40

6.3 სასამართლოს მიდგომები პატიმრობის გაუქმების ან/და ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი.....	42
<b>7. პატიმრობის გამოყენების თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში.....</b>	<b>45</b>
7.1 პატიმრობის გამოყენების რეგულაცია საერთო სამართლის ქვეყნებში.....	45
7.2 პატიმრობის გამოყენების საპროცესო წესი კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.....	47
<b>8. სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკური მონაცემები პატიმრობის გამოყენების თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ .....</b>	<b>48</b>
8.1 სასამართლო პრაქტიკა .....	48
8.2 საქართველოს გენერალური პროკურატურის და სასამართლოს სტატისტიკა .....	53
<b>დასკვნა .....</b>	<b>54</b>
<b>ბიბლიოგრაფია .....</b>	<b>56</b>

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებათა კონცეფციის განვითარებამ სახელმწიფოთა წინაშე არაერთი ვალდებულებაწარმოშვა. ამ ვალდებულებათაგან გამოირჩევა ადამიანის თავისუფლებასა და ხელშეხებლობაზე ზრუნვა, რომლებიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან დღემდე აქტუალურობას არ კარგავს.

სამართლებრივსახელმწიფოში ადამიანი წარმოადგენს იმ უზენაეს ღირებულებას, რომლის დაცვისკენაც მოწოდებულია სახელმწიფო და საზოგადოება, შესაბამისად მის უფლებებში ისეთი ჩარევა, როგორც არის პატიმრობა მრავალ საკითხს წევს წინა პლანზე.

სოციალურიკვლევების შედეგად დგინდება, რომ მსოფლიოში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანს აქვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეფარდებული; ევროპის მასშტაბით კი ეს რიცხვი 120 000 აღწევს.<sup>1</sup> ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, როდესაც დაპატიმრება ადამიანის არაერთ უფლებას ზღუდავს. ბუნებრივია თავისი მასშტაბურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით საკითხი აქტუალურობას არ კარგავს არამარტო საქართველოში არამედ მთელს საერთაშორისო საზოგადოებაში. იმისათვის, რომ ჯეროვნად დავიცვათ ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საჭიროა საკითხის კვლევა და შემეცნება.

**კვლევის საგანი.** ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის და გაუქმების სამართლებრივი პრობლემები. საქართველოში პატიმრობის გამოყენებისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა და მისი მაღალი პროცენტულობა სამართლებრივი სტაბილურობისადმი კითხვებს სვამს. შესაბამისად საჭიროა შესწავლილ იქნას თუ რა ლეგალური საფუძვლებითა და მიზნებით მოქმედებს სახელმწიფო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს, ჩამოაყალიბოს და გაანალიზოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლისა, გაუქმების სამართლებრივი პრობლემები. გააცნოს მკითხველს და დასაბუთებულად ახსნას თუ რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო და საზოგადოება, როდესაც პატიმრობის არაჯეროვანი გამოყენების საფრთხეები არსებობს.

ყოველივეზემოთქმულის გათვალისწინებით კვლევის ამოცანას წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო მოწესრიგების შესწავლა და სისტემური ანალიზი, რისი მეშვეობითაც უნდა მოხდეს პრაქტიკული და თეორიული პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრის შესაბამისი გზის მოძიება. ეს ყველაფერი კი არ უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლებრივი ბაზისის გაუთვალისწინებლად, რადგან ეს უკანასკნელი პროგრესულ მოწესრიგებას შეიცავს ამ მიმართულებით. მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და საქართველოსთვის გასაზიარებელი პრაქტიკა.

**კვლევის მეთოდები.** რადგანაც საკითხი კომპლექსურია აუცილებელია კვლევისას გამოყენებულ იქნას კვლევის ინტერდისციპლინარული და შერეული მეთოდები. მათ შორის საკითხთა სიღრმისეული შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნებაშედარებით-სამართლებრივი, ლოგიკურიდასისტემურიკვლევისმეთოდები, მოძიებული ინფორმაცია კი ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით დამუშავდება.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავალის, 8 თვისა და დასკვნისაგან. თავები თავის მხრივ მოიცავს ლოგიკურად დალაგებულ ქვესაკითხებს, რომლებსაც ჩამოყალიბებული სტრუქტურა ახასიათებთ. ნაშრომში პირველ რიგში საუბარი იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების არსსა და საფუძვლებზე, რომელთაგანაც გამოიყოფა და გაანალიზდება პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ამის შემდგომ უშუალოდ

<sup>1</sup><<https://www.fairtrials.org/campaign/pre-trial-detention>> [01.06.19];

მიმოიხილება პატიმრობის გამოყენების საზრისი და მისი ხანგრძლივობა, რომელიც შეფასდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე. დეტალურად და სისტემურად ჩამოყალიბდება აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და გაუქმების როგორც სამართლებრივი საფუძვლები ისე მისი გამოყენების პრაქტიკა და პრობლემატურობა. რასაც აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი და უცხოური მოწესრიგება. ამის შემდგომ სტატისტიკისა და თანამედროვე მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი იქნება საბოლოო დასკვნის გაკეთება, რომელიც შესაძლებელს გახდის ნაშრომის მიზნის მიღწევას და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის და გაუქმების სამართლებრივი პრობლემების ჯეროვან გაანალიზებას.

ნაშრომი შედგება შესავალის, 8 თვისა და დასკვნისაგან. თავები თავის მხრივ მოიცავს ლოგიკურად დალაგებულ ქვესაკითხებს, რომლებსაც ჩამოყალიბებული სტრუქტურა ახასიათებთ. ნაშრომში პირველ რიგში საუბარი იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების არსსა და საფუძვლებზე, რომელთაგანაც გამოიყოფა და გაანალიზდება პატიმრობა, როგორც ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. ამის შემდგომ უშუალოდ მიმოიხილება პატიმრობის გამოყენების საზრისი და მისი ხანგრძლივობა, რომელიც შეფასდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფონზე. დეტალურად და სისტემურად ჩამოყალიბდება აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და გაუქმების როგორც სამართლებრივი საფუძვლები ისე მისი გამოყენების პრაქტიკა და პრობლემატურობა. რასაც აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი და უცხოური მოწესრიგება. ამის შემდგომ სტატისტიკისა და თანამედროვე მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი იქნება საბოლოო დასკვნის გაკეთება, რომელიც შესაძლებელს გახდის ნაშრომის მიზნის მიღწევას და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის და გაუქმების სამართლებრივი პრობლემების ჯეროვან გაანალიზებას.

## 1. აღკვეთის ღონისძიების არსი და საფუძვლები

### 1.1 აღკვეთის ღონისძიების არსი, მიზნები და საფუძველი

აღკვეთის ღონისძიება არის ის იძულებითი ღონისძიება, რომლის მთავარი მიზანია შექმნას მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების გარანტია. იძულება სამართლის ერთ-ერთი ნიშანია, იძულების გარეშე არსებული სამართალი, არის წინააღმდეგობა თავის თავში. აუცილებელია აღნიშნოს დაცვის ის სტანდარტი და გარანტია, რაც ეროვნული კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და რაც პირს გააჩნია. კერძოდ, უნდა გამოიკვეთოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შეზღუდვა კანონით ზუსტად გაწერილი მიზნებითა და საფუძვლებით. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მტკიცებულებების მოპოვებასა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, ახალი დანაშაულის ჩადენა. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებები, მაგალითად, ისეთი, როგორცაა გირაო, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს, როგორც ბრალდებულის უფლებებისა და თავისუფლების შედარებით ნაკლებად შემზღუდავ ფორმას. აღნიშნულის თაობაზე ცალსახად მიუთითებს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და ადამიანის უფლებათა

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები. აღკვეთის ღონისძიების საფუძვლების არსებობა, რომ ბრალდებული არ მიიმალოს, არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ერთნაირად სავალდებულოა როგორც პატიმრობის, ისე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების, მათ შორის, გირაოს გამოყენებისთვის. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემსახურება აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.“<sup>2</sup>

შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები შემდეგია:

- )] ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა
- )] ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა
- )] განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა

სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლებია

- )] დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება
- )] არ გამოცხადდება სასამართლოში
- )] გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას
- )] ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არამხოლოდ ერთ-ერთის არსებობაა სააჭირო, არამედ სახეზე უნდა იყოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, სათანადო ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა.

## 1.2 აღკვეთის ღონისძიების სახეები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, იცნობს აღკვეთის ღონისძიებათა შემდეგ სახეებს:

- )] გირაო
- )] შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ
- )] პირადი თავდებობა
- )] სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა
- )] პატიმრობა

იმისათვის, რათა უფრო ნათელი გახდეს აღკვეთის ღონისძიებათა შინაარსი, უმჯობესია მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული.

<sup>2</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №1-გ/1282;

### 1.2.1 გირაო

გირაო შეიძლება იყოს ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების თაობაზე პროკურორი სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენისას მიუთითებს გირაოს ოდენობას. თანხის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად მძიმე დანაშაულთან გვაქვს საქმე და რამდენად შესაძლებელია ფინანსურად ბრალდებულის მიერ თანხის გადახდა, თუმცა გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები (სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში). პროკურორი აგრეთვე მიუთითებს გირაოს თანხის შეტანის ვადას. ამის შემდგომ შესაძლებელი ხდება თანხის ან მისი ექვივალენტური უძრავი ქონების შეტანა. მოქმედების განხორციელება შეუძლია როგორც ბრალდებულს, აგრეთვე სხვა პირს ბრალდებულის სახელით. თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველო გირაოს თანხის გადახდა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. მოცემული ვითარების მიხედვით, თუ გირაო არ შეიცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და ბრალდებული პირნათლად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, ბრალდებულს ან იმ პირს, ვინც ბრალდებულის მაგივრად შეიტანა თანხა გირაოს სახით განაჩნის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უბრუნდება შეტანილი ფულადი თანხა ან მისი ექვივალენტური უძრავი ქონება.

აშშ-ში ნაკლებად საშიში დანაშაულის საქმეზე დაპატიმრებული შეიძლება გაათავისუფლონ წერილობითი ვალდებულების საფუძველზე, რომ იგი გამოცხადდება გამოძახებისთანავე, გირაოთი ან იმის პირობით, რომ ის გირაოთი დათქმულ თანხას გამოაგზავნის ფოსტით და დროულად გამოცხადდება სასამართლოს ან იმ თანამდებობის პირის გამოძახებით, რომელიც ახორციელებს წინასწარ გამოძიებას აღნიშნულ საქმეზე. თუ ეჭმიტანილს არ აქვს შესაძლებლობა შეიტანოს გირაო ან იგი პასუხისგებაში მიცემულია საშიში დანაშაულის ჩადენისათვის, შეიძლება არ გაათავისუფლონ.<sup>4</sup>

### 1.2.2 შეთანხება გაუსვლელობასა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს 1 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას. ქმედებისათვის სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის სიმცირე არ გამორიცხავს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დანაშაულის ჩადენის ხერხს, ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს და სხვა ამდაგვარ გარემოებებს. საერთო ფონი უნდა გვამღებდეს იმის გარანტიას, რომ ბრალდებული კეთილსინდისიერად შეასრულებს პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოთხოვნას. გაუსვლელობა არ გულისხმობს კონკრეტული საცხოვრებელი სახლიდან გაუსვლელობას, ბრალდებულს ეკრძალება საცხოვრებელი ადგილიდან გასვლა, (იქნება ეს ქალაქი სოფელი თუ ნებიმიერი დასახლებული პუნქტი) უფლებამოსილი პირის ნებართვი გარეშე. თავითავად კი ეს ბრალდებულს ანიჭებს უფლებას მიიღოს განათლება, იყოს დასაქმებული და სხვა.

<sup>4</sup> კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007წ., გვ. 285

### 1.2.3 პირადი თავდებობა

სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას. თავდებთა რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე იმ საფუძვლის გამოვლენამდე, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას. თავდებობის მიზანია ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფა, შესაბამისად პრიორიტეტი ენიჭება მას, ვინც იქნება ბრალდებულისთვის ავტორიტეტი, და ის ბერკეტი, რომელიც შეაკავებს ბრალდებულს, ვისაც აქვს შესაძლებლობა და უნარი, რომ აკონტროლოს ბრალდებულის ქცევა. საკმაოდ პრობლემატურია ოჯახის წევრის თავდებობა, თუ რამდენად იქნება ეს დანაშაულის ჩადენის პრევენცია, თუმცა ამას კანონმდებლობა არ ზღუდავს.

### 1.2.4 სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა

ბრალდებული, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს განჩინებით შეიძლება გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში. სასამართლოს განჩინება, განემარტება შესაბამის ზემდგომ პირს, ხელმძღვანელს, მას განემარტება ბრალდების არსი და უფლება-მოვალეობები. იგი აღნიშნულს აცნობებს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელს, მას თან დაერთვის ცნობა მეთვალყურეობის შესახებ. ბრალდებულის მიმართ ზედამხედველობას ახორციელებს ბრალდებულის უშუალო უფროსი. ის ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულის მუდმივი ყოფნა სამხედრო ნაწილი ტერიტორიაზე და მიიღოს ზომები, რათა განხორციელდეს ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენცია. იმ შემთხვევაში, თუ მეთვალყურეობა არაჯეროვნად განხორციელდა შესაძლებელია პასუხისმგებელი მეთაურის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენება.

### 1.2.5 პატიმრობა

დაპატიმრება წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ (ინტენსიურ) ჩარევას. გერმანიაში სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება ნიშნავს მოქალაქის კონსტიტუციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში ამა თუ იმ ფორმით შეჭრას. კონსტიტუციაში პატიმრობასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი გადაწყვიტოს პატიმრობის დასაშვებობისა და მისი ვადის გაგრძელების საკითხი (მუხ. 104).<sup>5</sup>

<sup>5</sup> კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007წ., გვ. 534;

ზოგადად, სისხლისსამართლებრივი დევნა, განსაკუთრებით, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ბრალდებულისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს. მას უპირისპირდება სახელმწიფო, რომლის ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი მიმართულია პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის დასამტკიცებლად. ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა ამარტივებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას, შესაბამისად, შესაძლოა, დევნის განმახორციელებელ ორგანოებს პირის პატიმრობის მიმართ გარკვეული ინტერესიც ჰქონდეთ. ამავე დროს, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ვერ გამოირიცხება როგორც უფლების ბოროტად გამოყენების, ასევე შეცდომის შედეგად პირის დაუსაბუთებელი დაპატიმრების ალბათობა. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია მკაფიო პროცესუალურ გარანტიებს აწესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვისას. პროცესუალური გარანტიების კონსტიტუციურ რანგში აყვანა სახელმწიფოს აქცევს მკაცრ ჩარჩოში ადამიანის თავისუფლების მზღლდავი საკანონმდებლო ნორმების დადგენისას და გამოყენებისას.<sup>6</sup> პატიმრობა, ეს არის პირის თავისუფლების შეზღუდვა. შესაბამისად, პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების გამოყენება პირველ რიგში უნდა განვიხილოთ, პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ჭრილში. თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლება განმტკიცებულია არამარტო კონსტიტუციის მე-13 მუხლითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობით, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლით. იმისათვის, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, მსჯელობა სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან დავიწყეთ.<sup>7</sup> საქმის სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს მოთხოვნას, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.<sup>8</sup> ეს უფლება განმტკიცებულია არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლითა და სსსკ-ის 194-ე მუხლის მეორე ნაწილით, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობით. ეს გარანტია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავდა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>10</sup>, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კანონის უზენაესობა ხელშემკვრელი მხარეების საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს<sup>11</sup>, შესაბამისად, კონვენციის დებულებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში. სწორედ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ეს პრინციპი იცავს სასამართლოს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებისაგან და ეს ეხება არა მხოლოდ საბოლოო განაჩენს, არამედ ვრცელდება სასამართლოს განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზეც. მოქმედი

<sup>6</sup> საქართველოს კონსტიტუციის სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

<sup>7</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლი 17 იანვრის განჩინება საქმეზე, *Ryakib Biryukov v. Russia*, No. 14810/02;

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე, *Hirvisaari v. Finland*, პარ. 30;

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე, *Pretto and Others v. Italy*, პარ. 21;

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, პარ. 33;

<sup>11</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე *Brumarescu v. Romania*, პარ. 61; იხ. აგრეთვე *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [GC]*, პარ. 57;

სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, კერძოდ სსსკ-ი 205-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით არ უნდა შეეფარდოს პატიმრობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საფრთხე, რომ პირი:

- ) მიიმალება
- ) ჩაიდენს ახალ დანაშაულს
- ) ხელს შეუშლის მართლმსაჯულების განხორციელებას.
- ) გაანადგურებს ან ხელს შეუშლის მტკიცებულებათა მოპოვებას

პატიმრობა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების უკიდურეს ფორმას, რომელიც ბრალდებულს შეიძლება მხოლოდ ზემოთჩამოთვლილ შემთხვევებში შეეფარდოს, ანუ როდესაც იგი ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ამ საფუძვლების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად ლოგიკურია სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრება: „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.“ სასამართლომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიები შეფარდების საკითხი, მან ასევე მხედველობაში უნდა მიიღოს ყველანაირი ფაქტორი რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს აღკვეთის ღონისძიების დანიშვნისას.<sup>12</sup> ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებით, მართალია, საქმე გვაქვს სხვადასხვა უფლებათა შეზღუდვასთან, თუმცა ეს ის უფლებებია, რომელიც, ბუნებრივია, თან სდევს პატიმრობის პროცესს. ზოგ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ რისკებთან, როგორცაა აბსოლუტური უფლების, პატივისა და ღირსების უფლების დარღვევა, ინფექციური დაავადების გავრცელების საფრთხე, დამატებითი ხარჯი, ბრალდებულის ოჯახის წევრთა მორალური მხარე - უარყოფითი ეფექტი. სწორედ ამ და სხვა რისკების გათვალისწინებით ყოველთვის საჭიროა დასაბუთება თუ რატომ არის საჭირო პატიმრობის გამოყენება. დასაბუთებისას უნდა გავითვალისწინოთ ისეთი გარემოებები როგორცაა ბრალდებულის ან მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქონებრივი სტატუსი, ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ ბრალდებულის, როგორც მარჩენალის სტატუსს. გასათვალისწინებელია აგრეთვე ოჯახის წევრთა ასაკი. მხედველობიდან აგრეთვე არ უნდა გამოვრჩეს ის არასრულწლოვანი ოჯახის წევრები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ საკუთარი ან დანარჩენი ოჯახის წევრების რჩენას. თავისუფლება აღკვეთილი პირები, იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლი ქვეშ, ამიტომ ისინი ყველაზე უსუსურები არიან იმ საფრთხის წინაშე, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ. სწორედ ამიტომ კონტროლის განხორციელება უნდა მოდიოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.<sup>13</sup> “CPT-ს სურს ხაზი გაუსვას, რომ მისი გამოცდილებით, პერიოდი, რომელიც დაუყოვნებლივ მოსდევს თავისუფლების აღკვეთას, წარმოადგენს დროის ისეთ მონაკვეთს, როდესაც დაშინებისა და ფიზიკურად არასათანდო მოპყრობის რისკი ყველაზე დიდია”<sup>14</sup> პირი რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით, ეს პრინციპი ვრცელდება აგრეთვე სამართლებრივ რეჟიმზე, რომელიც არეგულირებს ბრალდებულის

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონიტორინგის ანგარიში N1, თბილისი, 2012 წელი, გვ. 14;

<sup>13</sup> აისლინგ რეიდი, წამების აკრძალვა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, თბილისი, 2005 წელი, გვ. 73;

<sup>14</sup> CPT-ისმე-6 ზოგადიმოხსენება (1996 წ.), მე-15 პუნქტი და CPT-ისმე-9 ზოგადიმოხსენების (1999 წ.) ანალოგიურიკომენტარები, 23-ეპუნქტი;

უფლებებს საპატიმრო დაწესებულებაში. პატიმრის მოთხოვნები, რომლებიც სპეციალურ ხასიათს ატარებს, ხშირად ხდება დამამცირებელი მოპყრობის საფუძველი, ყოველივე ზემოაღნიშნული მრავალ საქმეში დადასტურდა.<sup>15</sup> სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის მიხედვით კი, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა. მისი გამოყენება არ უნდა ხდებოდეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კვალდაკვალ, უნდა იყოს მართლზომიერი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და არ უნდა გრძელდებოდეს აუცილებელზე მეტი ვადით. აგრეთვე, საინტერესოა განვიხილოთ უცხო ქვეყნების პრაქტიკა. ევროპის ქვეყნების, კერძოდ, ბოსნიისა და ჰერცეგოვინას, ბულგარეთის, გერმანიის, დანიის, ესტონეთის, იტალიის, ლატვიის, ლიტვის, მაკედონიის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის რუმინეთის, საფრანგეთის, სერბეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ხორვატიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის პირობებად დასახელებულია: მიმალვისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, ასევე დანაშაულის აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.<sup>16</sup>

ესტონეთის, სლოვენისა და შვეიცარიის სისხლის სამართლის კანონების გარდა ყველა ჩამოთვლილი ქვეყნის კანონში მითითებულია დანაშაულები, რომელთა ჩადენისათვის პირს შეეფარდება წინასწარი პატიმრობა, ზოგიერთი ქვეყნის კანონში ჩამოთვლილია კონკრეტული დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში ბრალდებულს შეეფარდება წინასწარი პატიმრობა (გერმანია, ნიდერლანდები, რუმინეთი), ზოგან მითითებულია სასჯელის ზომა, რომლის ფარგლებში მოქცეული დანაშაულების ჩადენისთვისაც გამოიყენება აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, იტალია, მაკედონია, მონტენეგრო, ნორვეგია, პოლონეთი, საფრანგეთი, სერბეთი, შვედეთი, ხორვატია), ზოგან კი კანონმდებელი ორივე საშუალებას იყენებს (დანია, ლიტვა).<sup>17</sup>

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენის შესახებ და შესაბამისად დაპატიმრების საფუძველი. პატიმრობა არ გამოიყენება, როდესაც იგი არამართლზომიერია საქმის მნიშვნელობისა და მოსალოდნელ სასჯელთან მიმართებაში. დაპატიმრების საფუძველია: ბრალდებული გაიქცა ან იმალება; ან არსებობს საშიშროება, რომ იგი თავს აარიდებს საგამოძიებო ორგანოში ან სასამართლოში გამოცხადებას; ბრალდებულის ქცევა ადასტურებს სერიოზულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ იგი გაანადგურებს, შეცვლის, გააყალბებს მტკიცებულებებს, ანდა არაკეთილსინდისიერი გზით მოახდენს ზემოქმედებას მოწმეებზე, ექსპერტებზე, წააქეზებს სხვებს ანალოგიურ საქციელზე და ამით ხელს შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. გარდა ამისა, ბრალდებული შეიძლება დააპატიმრონ მოცემულის საფუძვლის არ არსებობის დროსაც, ან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის საშიშროებიდან გამომდინარე.<sup>18</sup>

აღკვეთის ღონისძიების ნებისმიერი სახის გამოყენების მოთხოვნისას ბრალდების მხარე

<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Netherlands, Norway, Sweden, Turkey, United Kingdom V. Greece*, თავი მეორე, პარ. 265; 1976 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, 1977 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება, DR 10; იხ. კომისიის 1982 წლის 16 დეკემბრის მოხსენება საქმეზე *Krocher and Moller v. Switzerland*; DR 34;

<sup>16</sup> საინფორმაციო ფურცელი კანონპროექტისათვის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ (07-3/511, 19.11.15);

<sup>17</sup> იქვე;

<sup>18</sup> კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007წ., გვ. 536;

ვალდებულია, გარდა ფორმალური (საპროცესო) საფუძვლების დასაბუთებისა სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დასაბუთებული ვარაუდით ადასტურებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე სასამართლო და მხარეები არ შედიან მტკიცებულებათა შინაარსობრივ კვლევაში და არ ხდება მათი გამოკვლევა ან/და სანდოობის შეფასება, თუმცა იმისათვის, რათა პირს შეეფარდოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება, რათქმუნდა აუცილებელია მტკიცებულებითი სტანდარტი. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღკვეთის ღონისძიების განხილვისას ხშირ შემთხვევაში დაცვის მხარე სასამართლოს წარუდგენს ისეთი სახის მტკიცებულებებს როგორცაა, ბრალდებულის ჯანმრთელობის შესახებ ცნობები, ოჯახური მდომარეობის შესახებ ინფორმაცია - შვილების დაბადების მოწმობები, მეზობლების დახასიათებები, დაზარალებულის პოზიცია (თუკი არსებობს დაზარალებული) ბრალდებულის მიმართ და ა.შ. ამგვარი სახის ინფორმაციას სასამართლო ყოველთვის იღებს მხედველობაში და ხშირ შემთხვევაში ამ ინფორმაციით ასაბუთებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ დღეის მდგომარეობით საკმაოდ ფართოდ გავრცელებული და პრობლემატური საკითხი, როგორცაა ოჯახური ძალადობა, ამ კატეგორიის დანაშაულებზე სახელმწიფო ბრალდების პოზიცია მკაცრია და იშვიათი გამონაკლისის გარდა სასამართლოში ხდება პატიმრობის მოთხოვნა ბრალდებულის მიმართ. ხსენებული კატეგორიის დანაშაულებზე დაცვის მხარეს უმრავალეს შემთხვევაში სასამართლოში მოაქვს დაზარალებულის პოზიცია პრეტენზიის არ არსებობასთან დაკავშირებით, რასაც სასამართლო იზიარებს და ბრალდებულის მიმართ იყენებს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეს. ამდენად, უმნიშვნელოვანესია პირველი წარდგენის სხდომაზე ის თუ რა სახის ინფორმაციას წარადგენენ მხარეები სასამართლოში. ხშირ შემთხვევაში დაცვის მხარე სასამართლოს პირველი წარდგენის სხდომაზე წარუდგენს არა იმ ხასიათის მტკიცებულებას, რაც სამომავლო საფრთხეების პრევენციისათვის პატიმრობის გამოყენების მიზანშეუწონლობას ადასტურებს, არამედ წარდგენილი მტკიცებულებებით ცდილობს დაადასტუროს ბრალდებულის უდანაშაულობა, რაც კიდევ ერთხელ ავლნიშნავ, რომ არ არის მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენცია.

## **2. პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები**

### **2.1 პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები**

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გარდა იმისა, რომ განამტკიცებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზოგად მიზნებსა და საფუძვლებს. ეს მიზნები კიდევ უფრო კონკრეტდება მის 205-ე მუხლში, რომლის თანახმადაც პატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ამრიგად ნორმა თავის თავში განამტკიცებს პატიმრობას, როგორც უკიდურეს საშუალებად და ამასთანავე ასახელებს კონკრეტულ მიზნებს, რომელთა თავიდან აცილებაც განზრახული აქვს კანონმდებელს. კვლევის მიზნებისთვის საჭიროა თითოეული მათგანის დეტალური განხილვა.

## 2.2 ბრალდებულის მიმალვისადამართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე

მიმალვის საფრთხე საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს და განსაკუთრებით რთულდება, როდესაც ბრალდებულის დაკავება გარკვეულ წინააღმდეგობას იწვევს და არ იყო მარტივი. ბუნებრივია, რომ ბრალდებულის შესაძლოა შეეცადოს მიმალვას, მოცემულ შესაძლებლობებზე დაყრდნობით. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ყველა დეტალი და საფრთხე, რაც ბრალდებულს აიძულებს, რომ მიიმალოს. მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებათა შორის ყველაზე ხშირი დისკუსიის საგანი არის დანაშაულის სიმძიმე. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტადიაზე, როგორც აღვნიშნე, სასამართლომ უნდა ისარგებლოს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. ამ სტანდარტს კი შეიძლება აკმაყოფილებდეს ის საკმარისი ინფორმაცია, რაც მიუთითებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა, „როდესაც სავარაუდო დანაშაული ჩადენილია ბრალდებულის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოყენებით, დაზარალებულის შეგნებულად შეცდომაში შეყვანის უნარის რეალიზებით, არ არის გამორიცხული, რომ სათანადო შემაკავებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, ბრალდებულმა კვლავ გამოიყენოს ეს შესაძლებლობები და უნარები.“<sup>19</sup> შესაბამისად, ეს ინფორმაცია, დანაშაულის სპეციფიკა, ბრალდებულის პიროვნება, ქმედების ხასიათი, საჭიროა, რომ აშკარად მიანიშნებდეს ბრალდებულის მიერ შესაძლო მიმალვის ან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის საფრთხეზე. მაშასადამე მიმალვის საფრთხის არსებობის დასაბუთებლად არ კმარა მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითება. მართალია დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, მოსალოდნელი სასჯელი მკაცრია და ბრალდებულის მხრიდან საშიშროება იმატებს, რომ იგი თავს აარიდებს პასუხისმგებლობას, თუმცა არსებული სტანდარტის მისაღწევად საჭიროა დამატებით უფრო მეტი გარემოება<sup>20</sup>, მაგალითად ბრალდებულის კავშირი საზღვარგარეთ, ფინანსური მდგომარეობა - სახსრები იმისათვის, რომ საზღვარგარეთ მიმალვის შემთხვევაში შეექმნება საკმარისი საცხოვრებელი პირობები, ბრალდებულის ქცევა - რამდენად რეგულარულად ცხადდება სასამართლოში, რამდენად თანამშრომლობს გამოძიებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ საქმეში სადაც პირს ბრალად ედებოდა მარცვა დამამძიმებელ გარემოებებში (დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის საფუძველზე მის მიმართ პატიმრობის გამოყენება ევროპული კონვენციის დარღვევად ჩათვალა<sup>21</sup>. იმისათვის, რათა საფრთხე რეალურად შევაფასოდ გავიხსენოთ ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეები, როდესაც სახეზეა პირის მიმალვა, მაშინ როდესაც უნდა მომხდარიყო პირის ექსტრადაცია<sup>22</sup>. საქმეში „მატნეტერი ავსტრიის წინააღმდეგ“<sup>23</sup> სასამართლომ გაითვალისწინა სხვა ქვეყანაში გადარიცხული თანხები

<sup>19</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განჩინება №1გ/1234;

<sup>20</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Becciev v. Republic of Moldova*. PARTLY DISSENTING OPINION OF JUDGE PAVLOVSKI IN THE CASE OF BECCIEV AGAINST MOLDOVA;

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინება საქმეზე, *Kostadinov v. Bulgaria*, პარ. 78-80;

<sup>22</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Punzelt v. the Czech Republic*, სადაც განმცხადებელი გერმანიაში გაქცევილი და ემალა გამოძიებას;

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Matznetter v. Austria*;

და საზღვარგარეთ ვიზიტები და კუმულაციურად სხვა კავშირები. ასევე საქმე „ჩესკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“<sup>24</sup> სადაც განმცხადებელმა ნაცნობისგან ნდობით დიდი ოდენობით თანხა იშოვა, სხვა პირის პირადობის მოწმობით მანქანა იყიდა და ყალბი პასპორტი მოიპოვა. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები მოქალაქეობის საკითხები და ამ გზით ექსტრადაციის შეუძლებლობა, მაგალითად ერთ-ერთ საქმეში<sup>25</sup> განმცხადებელს შეეძლო გერმანიის მოქალაქეობის მიღება მიმალვის შემთხვევაში, რაც შეუძლებელს გახდიდა ჩეხეთის რესპუბლიკაში ექსტრადაციას.<sup>26</sup> ეროვნული სასამართლო იმეორებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრს და ეთანხმება მას. ერთ-ერთ საქმეში სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალად წარდგენილი ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელი შესაძლოა გავლენას ახდენდეს ბრალდებულის ქცევაზე, თუმცა მხოლოდ ამ მოტივით მოსალოდნელი საფრთხე არ შეიძლება აბსტრაქტულად შეფასდეს... და იშველიებს ევროსასამართლოს პრაქტიკას<sup>27</sup>. სასამართლო აღნიშნავს „შესაბამისად, გაზიარებული ვერ იქნება სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით, რადგანაც ის შეიძლება გონივრულად დადგინდეს მხოლოდ ისეთ ფაქტორებზე მითითებით, როცა პირს ადრეც უცდია კანონიერი სასჯელისთვის თავის დაღწევა ქვეყნიდან მიმალვით ან/და არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები. ბრალდების მხარეს კი აღნიშნულის თაობაზე რაიმე დასაბუთებული არგუმენტაცია არ წარმოუდგენია, ის გარემოება კი, რომ მოსალოდნელი სასჯელი მკაცრია, ... [ბრალდებულს] ბრალი ედება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩადენაში, მარტო ალებული არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას...“ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თუ ვერ ხერხდება იმ გარანტიის მოპოვება, რომ ბრალდებული არ მიიმალება, ყველა შემთხვევაში საჭიროა, რომ სასამართლომ განიხილოს პატიმრობისაგან განსხვავებული სხვა, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიება. რაც შეეხება მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის საფრთხეს. აღნიშნული საშიშროება იმ პრობლემის რგოლია, რაც დაკავშირებულია კანონის აღსრულებასთან. სწორედ ამიტომ არის იგი პატიმრობის ერთ-ერთი საფუძველი. ბრალდებულს მისი გათავისუფლების შემთხვევაში ყველაზე მეტი ბერკეტი ექნება ხელთ, რომ საქმის წარმოება შეაფერხოს, ხელი შეუშალოს ან სათავისოდ შემოატრიალოს. მაგალითად: იმოქმედოს მოწმეებზე, შეუთანხმდეს საქმესთან დაკავშირებულ პირებს, რათა პროცესზე სათავისოდ გამოიყენოს, გაანადგუროს მტკიცებულებები ან გადამალოს ისინი. თუმცა აქაც, ისევე როგორც ყველა საფუძვლის დასაბუთებისას, უნდა არსებობდეს მყარი არგუმენტები. არის შემთხვევები, როდესაც პატიმრობის გამოყენებას აზრი ეკარგება, მაგალითად მაშინ, როდესაც გამოძიება ისეთ ეტაპზეა, რომ საფრთხე აღარ არსებობს. მაგალითისათვის განვიხილოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმე,<sup>28</sup> სადაც გამოძიება და ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადება 1 წლით ადრე იყო დასრულებული, ვიდრე გამამატყუნებელი განაჩენი გამოვიდოდა. ან საქმე,<sup>29</sup> სადაც გამოძიება ფიქრობდა, რომ ბრალდებული მეუღლის მკვლელობისას მარტო არ მოქმედებდა, თუმცა მოგვიანებით დამადასტურებელი

<sup>24</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Cesky v. the Czech Republic*;

<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Barfuss v. the Czech Republic*;

<sup>26</sup> მჭედლიძე ნ., ჭელიძე ლ., პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, თბილისი, 2004 წ., გვ. 47

<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Mansur v. Turkey*, პუნ. 55;

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Muller v. France*;

<sup>29</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *I.A v. France*;

მტკიცებულებები ვერ იქნა მოპოვებული და ეს ზემოაღნიშნულიც არ ჩათვალა რეალურად, ამიტომ ბრალდებულსა და სხვა პირს შორის შეთანხმების და ზემოქმედების საფრთხეც გამოირიცხა. სწორედ ეს განასხვავებს ამ საფუძველს პატიმრობის გამოყენების სხვა საფუძველებისაგან, რომ შესაძლებელია აღარ არსებობდეს მიზეზი, რითაც დავსაბუთებთ მტკიცებულებათა განადგურების საფუძველით პატიმრობის გამოყენებას. მაგალითისათვის, შესაძლებელია ბრალდებულმა სრულად აღიაროს და მოინანიოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, ნებაყოფლობით ჩააბაროს სამართალდამცავ ორგანოებს მტკიცებულება, საქმე ფაქტობრივად იყოს დასრულებული და ამიტომ არ არსებობდეს მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელი შეშლის საფრთხე. აგრეთვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, ბრალდებულს უცდია თუ არა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა ოდესმე.<sup>30</sup>

მიმალვის საფრთხესთან მიმართებით პრაქტიკაში არსებობს რამოდენიმე პრობლემატური საკითხი კერძოდ, ბრალდების მხარე სასამართლოს წინაშე მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნისას ყოველთვის ასაბუთებს იმას, რომ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით ბრალდებულმა შესაძლოა მიიმალოს. მოსამართლეთა ნაწილი ამ პოზიციას იზიარებს და მიუთითებს, რომ სასჯელის შიში არის მიმალვის ერთ-ერთი მიზეზი მაშინ, როდესაც როგორც ევროპული სასამართლოს, ასევე საქართველოს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის გადაწყვეტილებები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ სასჯელის სიმძიმე არ არის მიმალვის საფრთხის დამადასტურებელი გარემოება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე მიუთითებს იმაზე, რომ ბრალდებული ნამყოფია საზღვარგარეთ, შესაბამისად მას აქვს კავშირები სხვა ქვეყანაში და შესაძლოა დატოვოს ქვეყანა პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით. ამ გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულება არის ბრალდებულის მიერ საზღვრის კვეთის შესახებ ინფორმაცია. ლოგიკურია ისმის კითხვა, თუკი ადამიანი ტურისტული ან/და სასაწავლო მიზნით იყო საზღვარგარეთ ეს რატომ მიუთითებს იმაზე, რომ მას აქვს კავშირები საზღვარგარეთ და შესაძლოა მიიმალოს - დატოვოს ქვეყანა. რათქმაუნდა მიმალვის საფრთხის ამგვარ დასაბუთებას ხშირ შემთხვევაში სასამართლობი არ იზიარებენ, თუმცა არის შემთხვევები, როცა ეს ფაქტი ერთვის პატიმრობის გამოყენებას საფუძველად. მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით საკმაოდ პრობლემატურია შემდეგი საკითხი, გამომიების ეტაპზე ხშირად პოტენციური ბრალდებული საქმეზე იკითხება მოწმედ, იღებს სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებებში მონაწილეობას, რის შემდგომაც ხდება დაკავების განჩინების აღება და პირის დაკავება, ხოლო აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე პროკურორი აპელირებს მიმალვის საფრთხეზე. რათქმაუნდა ეს ვერ იქნება გასაზიარებელი, თუმცა ქმნის გარკვეული სახის უხერხულობას.

### *2.3 მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლისა და განადგურების საფრთხე*

მტკიცებულებათა განადგურება შესაძლებელია გამოვლინდეს როგორც მოწმეებზე ზემოქმედებით ისე ნივთიერ მტკიცებულებათა თუ დოკუმენტების განადგურებით ან შეცვლით. მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის არსებობის მტკიცება შედარებით მარტივია ბრალდებულის სამსახურებრივ მდგომარეობაზე აპელირებით, თუ მას ხელი მიუწვდება მტკიცებულებათა განადგურების შესაძლებლობაზე. ბრალდებულის

<sup>30</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1282;

თანამდებობრივ მდგომარეობაზე აპელირებით მტკიცებულებათა განადგურების აღნიშნული საფრთხის არსებობის მტკიცება არარელევანტურია პატიმრობის გამოყენებისათვის, ვინაიდან საფრთხე შესაძლებელია აცილებულ იქნეს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებით/სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისგან დროებით ჩამოცილებით. აღნიშნული საფრთხის არსებობა პრაქტიკულად გამორიცხულია, თუ ბრალდებული თანამშრომლობს გამოძიების ორგანოსთან (მისცა აღიარებითი ჩვენება, მისი დახმარებით მოხდა სხვა მტკიცებულებების მოპოვება, დაასახელა თანამონაწილეების ვინაობა, ნარკოტიკული ნივთიერების/ცეცხლსასროლი იარაღის რეალიზატორის ვინაობა და ა.შ.).<sup>31</sup> მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე უნდა გამოვრიცხოთ, როდესაც საქმიდან ირკვევა, რომ ბრალდებულისათვის ცნობილი იყო მის მიმართ დაწყებული გამოძიებო შესახებ და ხელის შეშლის მაგივრად ითანამშრომლა გამოძიებასთან. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ არ არსებობს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში ხელის შეშლის და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, ვინაიდან თითქმის ყველა მტკიცებულება მოპოვებულია და გამოძიების ხელთ იმყოფება. ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, მეტიც, მან თავად შეუწყო ხელი სამართალდამცავებს ამ მტკიცებულებათა მოპოვებაში. აღნიშნული გარემოება სასამართლოს კიდევ ერთხელ მიანიშნებს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე<sup>32</sup>. მტკიცებულებათა განადგურების მომეტებული საფრთხე არეობს მაშინ, როდესაც სახეზე გვაქვს თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაული, ბრალდებული დაკავებულია, თუმცა დანარჩენები თავისუფალნი არიან. ასეთ დროს ყველაზე მეტად არის შესაძლებელი, რომ ბრალდებული დაუკავშირდეს დანარჩენ პირებს და მათი მეშვეობით შეეცადოს მტკიცებულებათა განადგურებას ან მათზე კვალის წაშლას, ვინაიდან, მაგალითისათვის, ზოგიერთ მტკიცებულებას მათზე დატოვებული თითის ანაბეჭდის გარეშე მტკიცებულების ძალა არ აქვს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ საქმეში,<sup>33</sup> სასამართლო განხილვამდე ბრალდებულთა შორის შეთანხმების საფრთხე არსებობდა, სასამართლომ შემდეგი ფაქტორები მიიღო მხედველობაში: საქმის განსაკუთრებული მასშტაბი ამოღებული დოკუმენტების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა და მათი განზრახ მოუწესრიგებელ მდგომარეობაში ყოფნა, დასაკითხ მოწმეთა (მათ შორის, საზღვარგარეთ მყოფ მოწმეთა) დიდი რაოდენობა, განმცხადებლის განზრახ ქმედება როგორც გათავისუფლებამდე, ასევე შემდგომ ეტაპზე, მიმართული მის საწინააღმდეგოდ მეტყველი მტკიცებულებების განადგურებისაკენ (მაგალითად, ანგარიშების გაყალბება და მათი განადგურება), ასევე საფრთხე, რომ განმცხადებელს შეეძლო გამოძიებისთვის ჯერ კიდევ უცნობ მტკიცებულებათა განადგურება, ყალბი მტკიცებულების შექმნა და მოწმებთან მოლაპარაკება, აგრეთვე გერმანიაში დანაშაულთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების გაჭიანურება. ხსენებულთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქმის მასალებიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც სხვა საქმეების განხილვის დროს განმცხადებელმა შეთითხნა ყალბი მტკიცებულებები, წინა რიცხვებით დათარიღებული დოკუმენტაცია და მოწმეებით მანიპულირება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ერთადერთი საფუძველი პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის, რადგან განმცხადებლის მიმალვის საფრთხეც არსებობდა; შვეიცარიის მთავრობა ასევე დაეყრდნო შემდგომი დანაშაულების თავიდან აცილების აუცილებლობას, რაც არ განხილულა სააპელაციო

<sup>31</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წელი, გვ. 598;

<sup>32</sup> საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1282.

<sup>33</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *W. v. Switzerland*;

სასამართლოების მიერ, რადგან დამნაშავეთა მოლაპარაკებისა და მიმალვის საფრთხე საკმარის საფუძვლად იქნა მიჩნეული და ევროპულმა სასამართლომაც აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა.<sup>34</sup> როდესაც ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე უკავშირდება მის თანამდებობრივ მდგომარეობას და იმ ფაქტს, რომ მოწმეთა უმეტესობა მისი ყოფილი ხელქვეითია, მსგავს საკითხთან მიმართებით, ევროპული სასამართლო ერთ-ერთ საქმეში<sup>35</sup> აღნიშნავს, რომ ეს რეალური მიზეზია მოწმეებზე ზემოქმედების განსახორციელებად, თუმცა თუ ბრალდებული აღარ იმყოფება იმავე თანამდებობაზე და დაკავებულია, მის მიმართ შესაძლებელია სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, პატიმრობის გარდა. მოწმეებთან შეთქმულების რისკი მხოლოდ მის თანამდებობრივ მდგომარეობაზე აპელირებით არ შეიძლება, სასამართლომ უნდა გაიზიაროს ისეთი გარემოებებიც, როგორცაა, მაგალითად, გამოძიების/სასამართლო განხილვის მიმდინარეობა, ბრალდებულის პიროვნება, მისი ქცევა დაკავებამდე და დაკავების შემდეგ, სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რაც გაამყარებს შიშს, რომ მას ობიექტურად შეუძლია ბოროტად გამოიყენოს თავისუფლება მტკიცებულებათა განადგურების ან გაყალბების მიზნებისათვის.<sup>36</sup> სტრასბურგის სასამართლომ განიხილა მოწმეებზე ზემოქმედების საფუძველი საქმეზე „კონტრადა იტალიის წინააღმდეგ“ და განმარტა, რომ კონტრადა სიცილიის საიდუმლო სახელმწიფო სამსახურის დირექტორის მოადგილე იყო, მანამდე ის ამავე ქალაქში მობილური ჯგუფის უფროსი იყო, ხოლო შემდეგ კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტის და მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის ხელმძღვანელი გახლდათ. განმცხადებელი დააპატიმრეს მაფიის წევრობის მოტივით, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და მოწმეებთან მისი პირადი კავშირების და გავლენის გათვალისწინებით, სასამართლო განმარტავს, რომ საფუძვლიანია ხელისუფლების ორგანოების შიში, რომ განთავისუფლების შემთხვევაში, კონტრადა შეეცდებოდა მოწმეებზე ზეწოლის მოხდენას ან მტკიცებულებათა განადგურებას.<sup>37</sup>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში ყოველთვის აქვს ეფექტი და არასდროს არის ფორმალური ხასიათის. მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხე პრაქტიკულ დონეზე სხვადასხვანაირად ფასდება და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას საჭიროებს. პირველ რიგში ამ საფუძველზე აპელირებისას გასათვალისწინებელია დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი ქმედების ხასიათი. მაგალითად ნარკოტიკულ დანაშაულზე ბრალდების მხარე ხშირ შემთხვევაში ამტკიცებს, რომ იმ ფაქტის დასადგენად თუ სად და რა ვითარებაში შეიძინა ბრალდებულმა ნარკოტიკული საშუალებები ჩასატარებელია გამოძიება და ბრალდებულის თავისუფლებაში ყონის შემთხვევაში მან შესაძლოა ხელი შეუშალოს გამოძიებას. თუკი ჩვენ გადავხედავთ პრაქტიკას, ასევე ნარკოტიკულ დანაშაულებზე სასამართლოს განაჩენებს თითქმის ყველა შემთხვევაში განაჩენებში მითითებულია შემდეგი „ბრალდებულმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა .....“ ანუ ვერ ხდება ამ კუთხით გამოძიების წარმოება. ამ შემთხვევაში მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლაზე აპელირება მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, რასაც სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არ იზიარებენ. განსხვავებული შემთხვევა გვაქვს მაგალითად ოჯახური დანაშაულის საქმეებზე, სადაც

<sup>34</sup> მჭედლიძე ნ., ჭელიძე ლ., პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, თბილისი, 2004 წ., გვ. 49

<sup>35</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე *Aleksandr Makarov v Russia*, პარ. 130;

<sup>36</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადემჭელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წელი, გვ. 599;

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Contrada v. Italy*. პარ. 35;

ბრალდების მხარე აპელირებს, რომ ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მან შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს დაზარალებულზე, ვინაიდან იცნობს მას და აქვს მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში რათქმაუნდა ეს პოზიცია დასაბუთებულია. ამდენად მხოლოდ ფორმალურად მითითება იმაზე, რომ ბრალდებული მოახდენს ზემოქმედებას მტკიცებულებებზე საკმაოდ ხშირია.

#### 2.4 ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

ვიდრე უშუალოდ რისკების განხილვაზე გადავიდოდეთ, უმჯობესია სისტემურად განვმარტოთ კანონის ნორმაში არსებული ჩანაწერი „ჩადენს ახალ დანაშაულს“. პირის თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ღონისძიება განხილულ უნდა იქნეს ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის, მეორე მხრივ საქმის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფისათვის, პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. აღნიშნული ჩანაწერი კი ნამდვილად არ პასუხობს ამ პრინციპს, ნორმა თავი თავში უკვე უშვებს იმას, რომ ბრალდებულმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და არსებობს საფრთხე იმისა, რომ „ჩადენს ახალ დანაშაულს“. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის დანიშვნისას უნდა ჩანდეს, რომ დანაშაულის ჩადენის საფრთხე ნამდვილად არსებობს და განხორციელებული მოქმედება მართლზომიერია. რისკების შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ნებისმიერი გარემოება, განსაკუთრებით ბრალდებულის პიროვნება, მისი შესაძლო ნაბიჯები, იყო თუ არა წარსულში პირი მსჯავრდებული მსგავს საქმეზე. თუმცა არსებობს შემთხვევები როდესაც საფრთხეს ხედავდნენ წინათ ჩადენილი სრულიად სხვა ტიპის დანაშაულის გამო, საქმეში „კლოოტი ბელგის წინააღმდეგ“, საქმე ეხებოდა მკვლელობასა და ხანძრის გაჩენას, წინათ კი ნასამართლევი იყო ქურდობისა და დეზერტირობის მცდელობისათვის. რისკის დასაბუთებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მართალია გ. ბ. არ არის ნასამართლევი, მაგრამ მას ბრალი ედება განზრახი, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესაძლო ჩადენაში, გაითვალისწინა აღნიშნული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის ჩადენის ხერხი, სპეციფიკა და აღნიშნა, რომ ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში შესაძლოა განაგრძობს დანაშაულებრივი საქმიანობას და ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ამასთან, ბრალდებული აღნიშნულ ქმედებებს ახორციელებდა სხვა თანამონაწილეებთან ერთად, რომლებთანაც მას აკავშირებს მეგობრული ურთიერთობა, აღნიშნული გარემოება კი ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ გ. ბ.-მა მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ზემოქმედება მოახდინოს მათზე და გაანადგურონ საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები მითუმეტეს, რომ დღეის მდგომარეობით კვლავ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები“.<sup>38</sup> ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ გირაოს გამოყენება არ იქნება ეფექტიანი მტკიცებულებების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით<sup>39</sup>. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე აპელირებისას მომავალი დანაშაულის ხასიათი უნდა იყოს დაკონკრეტებული (მაგალითად, დანაშაულის კატეგორიის მითითებით – ეხება ძალადობრივ თუ ქონებრივ დანაშაულს) და ლოგიკურად

<sup>38</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე № 1გ/556-17;

<sup>39</sup> იქვე;

გამომდინარეობდეს პირისთვის წაყენებული ბრალიდან ან/და ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან. მაგალითად, თუ პირი არაერთხელ იქნა დაკავებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის და მის მიმართ თავდებობის გამოყენების შემთხვევაში კვლავაც არსებობს საფრთხე იმისა, რომ თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში ის თავისი მიდრეკილების და ნარკოდამოკიდებულების გამო კვლავაც ჩაიდენს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებას. ან, – ანგარიშფაქტურების გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით პირის დაკავებისას მის საცხოვრებელ ბინაში აღმოჩენილი იყო დიდი რაოდენობით ყალბი ანგარიშფაქტურები. შესაბამისად, იქმნება დასაბუთებული ვარაუდი, რომ თუ მის მიმართ არ მოხდება პატიმრობის გამოყენება, ის კვლავაც ჩაიდენს იმავე დანაშაულს. ასევე, საქმეზე, სადაც პირს ბრალად ედებოდა 16-ზე მეტი ქურდობა და ძარცვა, რომლის ნაწილიც ჩადენილ იქნა გამოძიების დაწყების შემდგომ, სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ბრალდების მხარის შიში, რომ ბრალდებული თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში კვლავ ჩაიდენდა დანაშაულს.<sup>40</sup> ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე მითითების მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ ევროსასამართლოს პრაქტიკა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე<sup>41</sup> დადგენილი ფაქტების თანახმად, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირების ფაქტზე. განმცხადებელი – ვარდან მინასიანი აღნიშნულ შეტაკებაში მონაწილეობდა. ის თავდაპირველად მიიძალა, მაგრამ შემდეგ პოლიციაში გამოცხადდა და ჩააბარა იარაღი, რომელიც მისი აღიარებითი ჩვენების თანახმად, შეტაკებაში გამოიყენა. მინასიანი დააკავეს და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდეს პატიმრობა. განმცხადებლის პატიმრობის დროს, მოწინააღმდეგებმა მისი ქონება გადაწვეს (2014 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება, პუნქტები 6-15). შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა რამდენჯერმე გააგრძელეს პატიმრობის ვადა და საბოლოო ჯამში, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადამ შეადგინა ერთი წელი, ოთხი თვე და თექვსმეტი დღე (გადაწყვეტილების 61-ე პუნქტი). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მინასიანის პატიმრობა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ დასაბუთებული იყო. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ პატიმრობის საფუძვლად მითითებული იყო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. კერძოდ, განმცხადებელს ბრალი ედებოდა ორ ჯგუფს შორის შეიარაღებული შეტაკების შედეგად მკვლელობასა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში. სასამართლოები უთითებდნენ, რომ ორ მხარეს შორის ხანგრძლივი შუღლი არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეთანხმა შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს, რომ არსებული გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ განმცხადებელი გათავისუფლების შემთხვევაში, ჩაიდენდა ახალ დანაშაულებს დაზარალებულის მეგობრებისა და ნათესავების წინააღმდეგ.<sup>42</sup> ისევე, როგორც მოწმეზე ზემოქმედების საფრთხის შემთხვევაში, აქაც უნდა გავითვალისწინოთ ბრალდებულის პროფესიული საქმიანობა, განსაკუთრებით სამოხელეო დანაშაულის შემთხვევაში, თუმცა ეს საფრთხე აქაც კარგავს მნიშვნელობას თუ ბრალდებული საჯარო სამსახურის თანამშრომელი

<sup>40</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წელი, გვ. 601; იხ. აგრეთვე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Assenov and Others v Bulgaria*, პარ. 156;

<sup>41</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 იანვრის მოხსენება საქმეზე, *Minasyan v. Armenia*;

<sup>42</sup> მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წელი, გვ. 69;

ადარ არის, შესაბამისად სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტი<sup>43</sup>. იმისდა მიუხედავად, შესაძლო/სამომავლო დანაშაული იქნება განზრახი თუ გაუფრთხილებლობითი, პატიმრობის გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გადაამოწმოს, არსებობს თუ არა მისი შესაძლო ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. რაც გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ობიექტური ფაქტორები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის რეალურ საფრთხეზე მიუთითებენ<sup>44</sup>. ახალი დანაშაულის ჩადენას დასაბუთებისას უმნიშვნელოვანესია ბრალდებულის წარსული, მისი ნასამართლობა და დამოკიდებულება მართლწესრიგის მიმართ. სასამართლოში საკამოდ დიდ პრობლემას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბრალდებულის გაქარწყლებული ნასამართლობა. საქართველოს სსკ-ის თანახმად გაქარწყლებული ნასამართლობა არ ითვლება ბრალდებულისათვის დამამძიმებელ გარემოებად. მოსამართლეთა ნაწილი გაქარწყლებულ ნასამართლობას საერთოდ არ ითვალისწინებენ და მიიჩნევენ, რომ ეს არ არის ბრალდებულის შემდგომი ქცევის რისკების შესაფასებლად გამოსაყენებელი ინდიკატორი. მაშინ, როდესაც მოსამართლეთა ნაწილი მართალია გაქარწყლებულ ნასამართლობას არ ითვალისწინებენ სასჯელის დანიშვნისას დამამძიმებელ გარემოებად, თუმცა მისი გათვალისწინება ხდება ბრალდებულის პიროვნების დახასიათებისას. ამგვარად ეს საკითხი პრაქტიკული თვალსაზრისით საკამათოა და არაერთგვაროვნად განიმარტება. ჩემი აზრით გაქარწყლებული ნასამართლობა ბრალდებულის პიროვნების დახასიათებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს და ამაში პროლემას ვერ ვხედავ. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების კონტექსტის ქვეშ გაერთიანებული რისკების დახასიათებისა და გაანალიზების შემდეგ, შუალედური დასკვნის სახით მოვიყვან სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკას<sup>45</sup> „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულის სათანადო ქცევა და გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება უნდა გახდეს გარანტი, რომ ბრალდებული არ გააგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას და თავს არ აარიდებს სასამართლოს. შესაბამისად, მას შემდეგ რაც დადგინდება, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტორები და ფორმალური საფუძვლები, სასამართლო ვალდებულია ბრალდებულს შეუფარდოს რელევანტური აღკვეთის ღონისძიება და არ არის უფლებამოსილი უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, არაფექტურობის ან/და მისი შეფასებით შესაძლო თუნდაც „ფორმალური“ ხასიათის გამო...შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის პირობებში ყოველთვის აქვს ეფექტი და არასდროს არის ფორმალური ხასიათის...“

## 2.5 პატიმრობის გამოყენების მიზნები და საფუძვლები არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კრილში

გასხვავებულად რეგულირდება პატიმრობის საკითხი არასრულწლოვან ბრალდებულებთან მიმართებით. 2015 წელს საქართველოში მიღებული იქნა არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსი, რომლის მოქმედების არეალი განსაზღვრულია 14-დან 18 წლამდე პირებზე, გამონაკლის შემთხვევებში კი 21 წლამდე პირებზე. ხსენებული კოდექსის მიღების მიზანი იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. არასრულწლოვანი ბრალდებული განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას საჭიროებს,

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II-62;

<sup>44</sup> იქვე. II-76;

<sup>45</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1გ/1199-17;

ვინაიდან მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების გამო ისინი შედარებით მძიმედ აღიქვამენ მართლმსაჯულებაში ჩართვას, მითუფრო როდესაც არასრულწლოვანი არის ბრალდებული და მის მიმართ გამოიყენება აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე - პატიმრობა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მეორე მუხლის თანახმად „ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“. ნაშრომის მიზნებისათვის განვიხილავ მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს. კოდექსის თანახმად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. საუკეთესო ინტერესის კანონისმიერი განმარტება არ არსებობს, ხოლო პრაქტიკულ დონეზე ეს განიმარტება, როგორც არასრულწლოვანის განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესაბამისი მოქმედებების ერთობლიობა, რაც უპირველ ყოვლისა მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისაკენ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიმართულია 14-დან 18 წლამდე პირების მიმართ კოდექსი ადგენს, რომ არასრულწლოვანი პირის მიერ დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი დანაშაულის დროს უპირატესად გამოიყენება განრიდებისა და მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა, სწორედ ამ საკითხის განხილვის შემდგომ იწყება მსჯელობა იმის თაობაზე დაიწყოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, არასრულწლოვანი ერთხელ უკვე განრიდებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ნასამართლევა ან/და მას არ სურს განრიდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანი შესაძლებელია განრიდებული იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც, თუკი ამის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო ბრალდება და ამ მხრივ კანონისმიერი შეზღუდვა, როგორც სრულწლოვანი პირების შემთხვევაში არ არსებობს.

რაც შეეხება პატიმრობის გამოყენების საკითხს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

ხსენებული საფუძვლებიდან ერთის ან/და რამოდენიმეს ერთად არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია არასრულწლოვანის მიმართ გამოვიყენოთ პატიმრობა. განსაკუთრებულ

ყურადღებას საჭიროებს ხსენებული მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, კერძოდ რა იგულისმება ჩანაწერში „არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღმატება მისი თავისუფლების ინტერესს“. სწორედ ეს არის ერთადერთი განმასხვავებელი საფუძველი პატიმრობის გამოყენების სრულწლოვან ბრალდებულთან შედარებით. ხსენებულ ჩანაწერში პირველ რიგში იგულისხმება, ის რომ არასრულწლოვანი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაპატიმრდეს, თუკი ეს არის უკიდურესი საშუალება და სხვა გზით შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევა, ამ დროს უნდა შეფასდეს, რამდენად ნეგატიურად იმოქმედებს პატიმრობა არასრულწლოვანზე, რამდენად იქნება მზად მისი ფსიქიკური და გონებრივი შესაძლებლობები პატიმრობისათვის და ხომარ გამოიწვევს ეს უარეს შედეგს ვიდრე აღკვეთის ღონისძიების მიზანია. თავისუფლება ადამიანის ერთერთი ყველაზე ღირებული მონაპოვარია და მისი შეზღუდვა ნებისმიერ ადამიანზე მოქმედებს ნეგატიურად, არასრულწლოვანი კი უფრო მძიმედ აღიქვამს მის მიმართ განხორციელებულ საპროცესო იძულებით ღონისძიებებს და შესაძლოა მძიმე ფიქიკური ზიანი მიაყენოს მას, სწორედ ამიტომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მაღალ სტანდარტს აყენებს პატიმრობის გამოყენებისათვის. გარდა ამისა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილია განსხვავებული ვადები პატიმრობის, როგორც ხანგრძლივობის, ისე გადასინჯვის ნაწილში. განსხვავებით სრულწლოვანი ბრალდებულისა არასრულწლოვანი პატიმრობაში შესაძლებელია იყოს არაუმეტეს ექვსი თვისა, ნაცვლად ცხრა თვისა, ასევე თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღმატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს, ნაცვლად 60 დღისა, ასევე თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, ნაცვლად ორი თვისა. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ცალკე გამოჰყო მე-9 მუხლი პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება. ზემოთქმული მუხლის თანახმად დაუშვებელია არასრულწლოვანისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტი ორიენტირებულია არა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებაზე არამედ ჩამოთვლის სხვა პროცესუალურ სამართლებრივ დებულებებსაც. ამ პუნქტის თანახმად არასრულწლოვანის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნორმის სათაურში არსებული პატიმრობა მოიაზრებს არა მხოლოდ აღკვეთილ ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საზრისს არამედ თავისუფლად გადაადგილების შემზღუდველ სხვა დებულებებსაც, როგორებიცაა „დაკავება“ და „თავისუფლების აღკვეთა“. საინტერესოა ის გარემოება, რომ ნორმა 2017 წლის 1 ივნისამდე დაკავება დაპატიმრებასა და თავისუფლების აღკვეთასთან ერთად მოიცავდა თავისუფლების შეზღუდვასაც. ეს უკანასკნელი ახლანდელ რედაქციაში არ ხვდება ამის მიზეზი შესაძლოა გამოიხატოს მასში, რომ კანონმდებელმა არ ჩათვალა საჭიროდ ყველა სახის თავისუფლების შეზღუდვა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით ყოფილიყო გამოყენებული, რადგან განსხვავდება ამ თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიებათა დანიშნულება და მათი

ხანგრძლივობა შესაძლოა სწორედ ამ არასრულწლოვნის ინტერესებს ემსახურებოდეს. ამრიგად კანონმდებელი ორიენტირდა მხოლოდ იმ საშუალებებზე, რომელიც უპირატესად გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთანაა ბმავი.

ბოლოს, კი აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ამ დებულებათა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებას და თავის მხრივ პროკურორს, როგორც გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველ პირს განსაკუთრებული სიფრთხილე და სიზუსტე მართებს მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება. ეს განპირობებულია არამარტო არასრულწლოვნისადმი საზოგადოების სენსიტიური დამოკიდებულებით, არამედ იმ შემჭიდროვებული ვადებით, რომლის ფარგლებშიც საპროცესო მოქმედებები უნდა განხორციელდეს. საჭიროა დეტალურად და ჯეროვნად შეირჩეს უპირატესი საგამოძიებო მოქმედებები, რომელიც ნათელს მოჰფენს არასრულწლოვნის ირგვლივ არსებულ ვითარებას და ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, რათა თავიდან ავირიდოთ ის პოსტ ტრამული მდგომარეობა, რომელიც დაპატიმრებულ არასრულწლოვანს შეიძლება განუვითარდეს მიუხედავად მისი ბრალეულობისა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვანის მიმართ პატიმრობის გამოყენება საკმაოდ მაღალი სამართლებრივი სტანდარტის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამასთან როგორც ბრალდების მხარემ, ისე სასამართლომ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რათა არასრულწლოვანს პატიმრობა უკიდურეს შემთხვევაში შეეფარდოს და რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ამ კეტეგორიის საქმის განხილვა. სწორედ ამიტომ არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ ისეთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორცაა მკვლელობა, ყაჩაღობა და ა.შ.

### **3. აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთების პრობლემები**

#### **3.1 სახელმწიფო მბრალმდებლის მიერ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება**

საქართველოს სსსკ-ის თანახმად, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი განხორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად პროკურორია აღვეთის ღონისძიების შეფარდების მომთხოვნი პირი. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პროკურორის პოზიცია აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას იყოს დასაბუთებული. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში დაიხვეწა შუამდგომლობების დასაბუთების სტანდარტი და გარდა შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლებისა სახელმწიფო მბრალმდებლის წარმომადგენლები შუამდგომლობებს ასაბუთებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით.

საქართველოს სსსკ-ის თანახმად პროკურორმა კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების,გასაკუთრებით კი პატიმრობის მოთხოვნისას უნდა ასაბუთოს შემდეგი საკითხები:

პირველ რიგში პროკურორმა უნდა იმსჯელოს, რომ არსებობს ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძელი - პროკურორმა ნებისმიერი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც მტკიცებულებითი, ისე საპროცესო საფუძველები. მტკიცებულებითი საფუძველი, გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა

დანაშაული. ანუ სახეზე უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი. საპროცესო საფუძველი გულისხმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი საფუძვლების ან/და ერთერთი საფუძვლის არსებობას. პროკურორს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ერთ-ერთი ფაქტობრივი ან ფორმალური საფუძვლის არარსებობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის საფუძველია, თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს, რომ ეს საფუძველი შესაძლებელია მხოლოდ უზრუნველყოფილი იქნეს პატიმრობით.

გარდა ამისა, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რომ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეწონილი და აუცილებელია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის გამოყენების საფუძვლებს ცალკე ადგენს, ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ერთადერთი ღონისძიებაა, რაც უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

და ბოლოს პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რომ სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. შესაძლებელია არსებობდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების რომელიმე საფუძველი, თუმცა ხსენებული საფრთხის პრევენცია შესაძლებელი იყოს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მაგალითად გირაოს გამოყენებით. სწორედ აქ უნდა დაასაბუთოს ბრალდების მხარემ, რატომ არის აუცილებელი პატიმრობა ამ საფრთხის პრევენციისთვის და რატომ ვერ უზრუნველყოფს მაგალითად გირაო კონკრეტული საფრთხის პრევენციას.

ხსენებული სამი საკითხის დასაბუთება უნდა სცემდეს პასუხს კითვაზე, რატომ პატიმრობა? არსებობს სისხლის სამართლის საქმეები, სადაც რეალურად არ არსებობს მყარი არგუმენტები პატიმრობის გამოსაყენებლად და ხშირ შემთხვევაში დასაბუთება ფორმალურ ხასიათს ატარებს და სასამართლოსაც, რათქმაუნდა უჭირს განჩინების დასაბუთება. მაგალითისათვის მოვიყავნ ერთერთ სისხლის სამართლის საქმეს უშუალოდ ჩემი პრაქტიკიდან. 2018 წლის მაისის თვეში, ლ.ნ სათამაშო პისტოლეტით შევიდა მაღაზიაში და მოლარე ოპერატორს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით თუკი არ გადასცემდა ფულად თანხას, რის შემდგომაც მოლარე ოპერატორი შეშინდა და გაიქცა, ხოლო ლ.ნ ნებაყოფლობით გამოვიდა მაღაზიიდან, ისე რომ ფულადი თანხა არ აუღია, დარეკა 112-ში და განაცხადა, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა და მიდიოდა პოლიციის განყოფილებაში. მართლაც რამოდენიმე წუთში ლ.ნ მივიდა პოლიციის განყოფილებაში და განმარტა, რომ ჰქონდა ვალები, რის გამოც უნდოდა ციხეში წასვლა, ამის გამო ჩაიდინა ყაჩაღობა და გამოცხადდა პოლიციაში. ლ.ნ არიყო ნასამართლევი და სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული, ასევე ითანამშრომლა გამოძიებასთან მტკიცებულებების მოპოვების კუთხით. ლ.ნ დაკავებული იქნა ყაჩაღობის ბრალდებით და აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. სისხლის სამართლის საქმეში არ არსებოდა, რაიმე მტკიცებულება, რაც ადასტურებდა ლ.ნ-ს მხრიდან მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხეს, მიმავლის საფრთხეს. ასეთ დროს საკმაოდ რთულია დაასაბუთო პატიმრობის აუცილებლობა და ბრალდების მხარეს უწევს მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე და სიმძიმეზე საუბარი.

ნებისმიერ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის მოთხოვნისას მტკიცების ტვირთი არის ბრალდების მხარეს. 2015 წლის 8 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის მე-9 ნაწილში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება, მტკიცების ვალდებულება ბრალდების მხარეს ეკისრება მაშინაც კი როდესაც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ინიციატივა დაცვის მხარეს ეკუთვნის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დაცვის მხარეს არანაირი ვალდებულება არ გააჩნია, მას ეკისრება მისი ინიციატივით დაყენებული

შუამდგომლობის დასაბუთების ვალდებულება, რაც ახალ გარემოებაზე ანდა მტკიცებულებაზე მითითებას უნდა შეიცავდეს, „პირის ვალდებულება, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შუამდგომლობაში მიუთითოს იმ ახალ გარემოებაზე, რომელიც აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ცნობილი არ იყო, არ გულისხმობს პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას ბრალდებულს არ ევალება ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შერჩევა არ გულისხმობს მის დამნაშავედ ცნობას. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას გააჩნია მკაცრად განსაზღვრული მიზნები, როგორცაა ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობის პრევენცია, მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა და განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნისას ბრალდებულისათვის ახალი გარემოებების დადასტურების ვალდებულების დადგენა არ უნდა ჩაითვალოს მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად“<sup>46</sup> სისხლის სამართლის პროცესში უდანაშაულობის პრეზუმფცია ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ორგანოს, რომელიც ახორციელებს სისხლისამართლებრივ დევნას.<sup>47</sup>

დღეს არსებული მდგომარეობით პროკურორები მაქსიმალურად ცდილობენ შუამდგომლობები იყოს დასაბუთებული და მტკიცებულებებით არგუმენტირებული. სასამართლოს განჩინებების ანალიზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა ბრალდების მხარის შუამდგომლობები გაცილებით არგუმენტირებული, დასაბუთებული და ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით გამყარებულია ვიდრე წინა წლებში.

### 3.2 მოსამართლის მიერ პატიმრობის გამოყენების დასაბუთება

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება აუცილებელია იყოს კანონიერი, შეესაბამებოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და იყოს დასაბუთებული. კვლევებით დგინდება, რომ პრაქტიკაში იშვიათია აღკვეთის ღონისძიებაზე უარის თქმის შემთხვევები. ასევე ნაკლებად ხდება პატიმრობის და გირაოს გარდა სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ასევე გამოყენებული არ ყოფილა პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა ტიპის აღკვეთის ღონისძიება. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გამოვლენილ პრობლემებს, ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

1., „სასამართლოს განჩინებების შაბლონური ხასიათი“ - საქმეში გიორგი ნიკოლაიშვილის საქართველოს წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ფორმის ბრძანებით. იმის მაგივრად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძია მყარი არგუმენტაცია პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით“.

2., „დაუსაბუთებლობა“ - ხშირ შემთხვევებში, სასამართლო მართალია ასაბუთებს პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს, თუმცა ამავედროულად არ ხდება მითითება იმაზე,

<sup>46</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი N-646, II-33-34;

<sup>47</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 2009, 189;

თუ რატომ ვერ უზურნვლევოფს სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება იმ საფრთხეებს, რაც არსებობს. ასევე გირაოს შეფარდების შემთხვევებში აუცილებელია დადგენილი იქნას ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები და ამის მიხედვით იქნას განსაზღვრული გირაო ოდენობა, რაც საკაოდ ხშირ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება;

3., „არაერთვაროვანი პრაქტიკა“ - დანაშაულის ხასიათის, სიმძიმისა და ბრალდებულის პიროვნების მსგავსების მიუხედავად, სასამართლოების მიერ ხდება სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება;

4., „ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის ნაკლებობა“ - ცალკე უნდა აღინიშნოს შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სასამართლოს განჩინებაში ფიქსირდება იდენტური ფრაზების გამოყენება. სასამართლოები განჩინებებში უთითებენ: „იგი წარმოადგენს ბრალდებულის შემდგომი ნორმალური ქცევის გარანტს და დამაფიქრებელს მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის.“ სტრასბურგის სასამართლომ მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ საქმეში დარღვევა დაადგინა, რადგან პატიმრობის დადგენილება არ ითვალისწინებდა ჯეროვნად ბრალდებულის პიროვნებას, გადაწყვეტილებათა უმეტესობა ერთი და იმავე შემაჯამებელი ფორმულირებით იყო გადმოცემული და მოსამართლე იყენებდა სტერეოტიპულ ტექსტებს, რუსეთის სასამართლო მოცემულ საქმეში გადაწყვეტილებისას მხოლოდ ფორმალურ საფუძველს იყენებდა და მიუთითებდა, რომ ბრალდებული უნდა ყოფილიყო პატიმრობაში, თუმცა ამის დამადასტურებელ მსჯელობას არ წერდა განჩინებაში. პატიმრობა უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არ იყოს სტერეოტიპულად ფორმულირებული ან დასკვნების სახით მოწოდებული და დასაბუთება არ იყოს დეკლარაციული ხასიათის, ზოგადი ან აბსტრაქტული. ხსენებული საკითხები დღესაც არის პრობლემური და საჭიროებს დახვეწას, თუმცა გასათვალისწინებელია, ის რომ კვლევა, რომელზეც ვსაუბრობთ არის 2012 წელს დამუშავებული და მას შემდგომ ბერვად შეცვლილია მდგომარეობა.

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე. სასამართლო უნდა დაინტერესდეს იმით, თუ რამდენად არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველების ერთობლივი ტესტი. მოსამართლემ უნდა გაანაზღვიოს გარემოებების სერიოზულობა, სავარაუდო დანაშაულის ხარისხი, ასევე მოსამართლეებმა უნდა შეაფასონ თუ რამდენად იქნება შენარჩუნებული საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ეს ყველაფერი კი ნათელი ფაქტებით უნდა იყოს გამყარებული. ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი მართლმსაჯულების განხორციელების საზოგადოებრივ ჭრილში დანახვა, ამიტომ სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაში აუცილებლად უნდა იმსჯელოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე. მნიშვნელოვანია სასამართლომ შეაფასოს საქმის გარშემო არსებული საერთო მდგომარეობა, სასამართლომ საკუთარ განჩინებაში უნდა გასცეს: 1. სახეზე არის თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი და 2. სახეზეა თუ არა კონკრეტული პირის მიმართ, გარემოებათა გათვალისწინებით ხარისხობრივად ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ პატიმრობის გამოყენება, მხოლოდ კანონით დადგენილი პრეზუმფციის გამო, რომელიც ეფუძნება ბრალდების სიმძიმესა და მიმალვის საფრთხეს, ახალი დანაშაულის ჩადენას, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს. მნიშვნელოვანია სასამართლომ იხელმძღვანელოს ყოველი საქმიდან გამომდინარე და არა - ზოგადი ტენდენციებით. სასამართლოს განჩინებების

ერთერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფაქტების სიმწირე და საფრთხეებზე ზოგადი მითითება, დასაბუთების და საქმესთან შემხებლობის მტკიცების გარეშე. სასამართლოები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მშარალად უთითებენ, რომ სახეზეა ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, თუმცა ამის დასაბუთებები იშვიათად გხვდება. სასამართლოებს არ აქვთ ერთგვაროვანი მიდგომა, რომლის გამოყენებაც ერთნაირად ხდება საკითხზე მსჯელობისას. რამდენიმე ბრალდებულის მიმართ განსხვავებული ალკვეთის ღონისძიების გამოყენება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ქმნის განცდას, რომ სასამართლოს მიდგომა არათანმიმდევრულია. სასამართლო არაერთ განჩინებაში უთითებს, ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგებაზე, ზიანის ანაზღაურებაზე, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობაზე, რითიც სასამართლო გამორიცხავდა პირის მიმალვის საფრთხეს, თუმცა ამგვარი მსჯელობის დასასრულს სასამართლო ალკვეთი ღონისძიება მაინც გამოიყენა, რაც გაუგებარია. განჩინებების საერთო პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სასამართლოები არ მსჯელობენ ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე, რაც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებაა. გამოიკვეთა, რომ სასამართლოებს ამ საკითხის მიმართ ფორმალური მიდგომა აქვთ, რაც გამოიხატება იმაში, რომ განჩინებებში მოსამართლეები მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებიან და უთითებენ, რომ სხვა ალკვეთის ღონისძიების სახის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ყოველი სისხლის სამართლის საქმე, ისევე როგორც თითოეული ბრალდებული ინდივიდუალურია და საჭიროებს ინდივიდუალურ შეფასებას, სასამართომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს, ბრალდებულის თვისებები, ჯანმრთელობა, ფინანსური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ. რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ალკვეთის ღონისძიების შეფარდებისას.

### *3.3 პატიმრობის გამოყენების დასაბუთების საერთაშორისო სტანდარტი*

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ იმსჯელა პატიმრობის გამოყენების მანკიერ მხარეებზე. ამასთანავე, ევროპულ სასამართლოს დაუდგენია დარღვევები საქართველოს სასამართლოების მიერ პატიმრობის შეფარდების უალტერნატივო ხასიათზე. ამასთანავე, ევროპული სასამართლო თვის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით მიანიშნებს იმ ძირითად მიზეზებზე, რომლებმაც ქვეყანაში არასწორი და საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგო პრაქტიკის დამკვიდრება გამოიწვია.<sup>48</sup> საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ:

არსებობს ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობისათვის აუცილებელია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი ისევე, როგორც ალკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის, ამ ნაწილში იგულისხმება სწორედ პოზიცია ბრალდების მხარისა, რომელმაც წაუყენა ბრალი პირს და მას შემდეგ წყდება ალკვეთის ღონისძიების საკითხი, გარკვეულწილად პირველი წარდგენის სხდომაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მოითხოვს, ბრალდების შესახებ დადგენილებისათვის დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემოწმების შემდეგ განიხილოს მოსამართლემ ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ განთავისუფლების შემთხვევაში ის მიიმალება, ჩაიდენს მძიმე დანაშაულს, ხელს შეუშლის მართლმსაჯულებას ან დაემუქრება საზოგადოების

<sup>48</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, 14-15;

უსაფრთხოებას; პროკურატურამ ან გამოძიებაში მონაწილე მოსამართლემ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი რისკი, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია, რისკის არსებობის დადგენა უნდა ხდებოდეს თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სავარაუდო დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეს; სასჯელს, რომელიც შეიძლება დაინიშნოს დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, პიროვნულ თავისებურებებს, განვლილ ცხოვრებას, პიროვნების პირად და სოციალურ გარემოებებს, კერძოდ კი მის საზოგადოებრივ კავშირებს, პიროვნების საქციელს, განსაკუთრებით იმას, თუ როგორ შეასრულა გამოძიების პროცესში მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

არ არსებობს ალტერნატიული ზომების გამოყენებით მესამე ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევების თავიდან აცილების საშუალება და ეს დასაბუთებული უნდა იყოს სასამართლოს განჩინებაში<sup>49</sup>. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდებას, პატიმრობის გამყარების საფუძვლების ფორმალური მოხსენიება განჩინებაში არამც და არამც არ არის საკმარისი.<sup>50</sup> ხელისუფლების ორგანოებს, უპირველესად, სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება დაადგინონ და წარმოაჩინონ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ლოგიკურად გამართლებენ, დაასაბუთებენ და გამყარებენ განჩინებაში მოხსენიებულ საფრთხეს, რომელიც, თავის მხრივ, ამართლებს პირისათვის პატიმრობის შეფარდებას<sup>51</sup> დღეს არსებული პრაქტიკის შესაბამისად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი კონკრეტულ საქმეზე, გამოძიების ან სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში ეროვნულ სასამართლოებს არ აქვთ ნამსჯელი, შეიძლება თუ არა გამოყენებულ იქნეს იძულების ალტერნატიული ღონისძიებები (გირაო, პირადი თავდებობა, და სხვა), და ჯეროვნად დასაბუთებული, თუ რატომ არ შეუძლია იძულების რომელიმე ალტერნატიულ ღონისძიებას უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულის გამოცხადება გამოძიების თუ სასამართლოს წინაშე, ხსენებული უკვე საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა<sup>52</sup>

პატიმრობის ვადის გახანგრძლივების დასაბუთება - „პატიმრობის ვადის გაგრძელება ისევე უნდა აკმაყოფილებდეს პატიმრობისთვის დადგენილ ყველა ვალდებულებას, მუდმივ სასამართლო გადასინჯვას უნდა დაექვემდებაროს და ამასთანავე, გამოძიებამ კიდევ უფრო მეტი მტკიცებულება და არგუმენტები უნდა წარმოადგინოს როგორც ვადის გაგრძელების დასაბუთებისათვის, ასევე იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ ვერ მოხერხდა საპროცესო ღონისძიებების გატარება პატიმრობის უკვე შეფარდებული დროის განმავლობაში.“<sup>53</sup> სწორედ იმავე სტანდარტის არსებობა წარმოშობს სტრასბურგის სასამართლოს უკმაყოფილებას, როდესაც ეროვნული სასამართლოს მიერ ვადის გაგრძელების შემთხვევაში მსჯელობა თითქმის იდენტურია, პირველი განჩინებისა. ეს ის ეტაპია, როდესაც მოსამართლე უნდა დაინტერესდეს შეგნებულად ხომ არ ხდება საქმის გაჭიანურება, მტკიცებულებათა მოპოვება

<sup>49</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)13 წევრი სახელმწიფოებისადმი პატიმრობის გამოყენების, მისი განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ. (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 27 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 974-ე სხდომაზე);

<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Gulyayeva V. Russia*, §187;

<sup>51</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Bordikov V. Russia*, §88;

<sup>52</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, 23;

<sup>53</sup> იქვე, გვ.120;

შეიძლება თუ არა გონივრულ ვადაში, მოსამართლე ორიენტირებული უნდა იყოს დაადგინოს გონივრულად გამოიყენა თუ არა ბრალდების მხარემ მის მიერ მიცემული პატიმრობის ვადა იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე აღმოაჩენს პატიმრობის გაგრძელების აუცილებლობას, მან მის გადაწყვეტილებაში უნდა იმსჯელოს არა იმაზე, რომ არსებობს პატიმრობის გამოყენების საფუძვლები ზოგადად, არამედ იმაზე, რომ დღეს ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ არ არის აღმოფხვრილი ბრალდებულის მხრიდან საფრთხეები.

#### *3.4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის გადაწყვეტილებების გავლენა საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე*

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო საჩივრის ფარგლებში ამოწმებს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევის ფაქტს და დარღვევის შემთხვევაში კი აწესებს შესაბამის სანქციებს. ევროპული სასამართლო არ სწავლობს იმ ფაქტს პირი არის თუ არა დამნაშავე, არამედ იხივალს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებს ქმედებებს, რამდენად განახორციელეს პოზიტიური ვალდებულებები სამართალწარმოების დროს. პატიმრობის საკითხვის განხილვისას სასამართლო ვალდებულია დეტალურად და სრულფასოვნად შეაფასოს ფაქტები, მოსალოდნელი საფრთხეები და ამის შემდგომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე განსაზღვროს ისეთი აღკვეთის ღონისძიება, რომელიც არის ადექვატური და პროპორციული. ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ უამრავ საქმეზე იმსჯელა პატიმრობის საკითხზე და დეტალურად აქვს მიმოხილული ის ძირითადი მოთხოვნები, რა დროსაც გამართლებულია პირის პატიმრობა, ასევე ევროპული სასამართლო მკაცრად მიუთითებს ხანგრძლივი და გაუმართლებელი პატიმრობის აკმაღლებაზე, რაზეც ზემოთ მქონდა მსჯელობა.

საქართველოში საერთო სასამართლოები მკაცრად მიყვებიან ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება ითქვას ერთერთი ნაწილია პატიმრობის დასაბუთების. ჩემს მიერ შესწავლილი, ასევე პრაქტიკაში არსებულ ყველა გადაწყვეტილებაში, სადაც აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებულია პატიმრობა, განჩინების ერთი ნაწილი ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსამართლეები ერთი და იმავე გადაწყვეტილებებს იყენებენ პატიმრობის დასაბუთებისას.

## **4. პატიმრობის ხანგრძლივობა**

### *4.1 პატიმრობის 9 (ცხა) თვიანი ვადა*

ადამიანის საზოგადოებისგან იზოლირება შეიძლება აუცილებელი იყოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ლეგიტიმურ მიზნებს უპირისპირდება ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთე, როგორცაა ადამიანის თავისუფლება, კანონმდებელი ვერ გაამართლებს შეუზღუდავი ვადით პატიმრობას. კანონმდებლის კონსტიტუციური ვალდებულებაა ლეგიტიმური მიზნების დაცვა უზრუნველყოს თავისუფლების უფლების უსაფუძვლო, გადამეტებული შეზღუდვის რისკების გამორიცხვით. სახელმწიფოს მიერ ადამიანის დროებით იზოლირება, მისი საპატიმროში მოთავსება (დაკავებითა თუ დაპატიმრებით) შესაძლოა წარმოადგენდეს აუცილებლობას მართლმსაჯულების

ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მიუხედავად ამისა, კონსტიტუციამ დაადგინა ზღვარი, რომელიც სახელმწიფომ არ უნდა გადალახოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პატიმრობა ამგვარი აუცილებლობით არის განპირობებული. ერთ-ერთ ასეთ ზღვარს წარმოადგენს პროცესუალური გარანტიები, როგორცაა დაკავებისა თუ დაპატიმრების კონსტიტუციით განსაზღვრული საერთო ვადები.<sup>54</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მიხედვით: ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა – ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს, თუ მხარეთა დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნული ვადა გონივრულ ვადამდე არ გააგრძელა.

“სასამართლო, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, ხელმძღვანელობს როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ისე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციით, რომლის ნორმებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით არის განმარტებული.”<sup>55</sup> პატიმრობის ვადის შესახებ მითითებისას ბრალდების მხარემ უნდა წარმოადგინოს რეალური, დამაჯერებელი არგუმენტები, მიუხედავად იმისა, თუ რა ვადაზეა საუბარი.<sup>56</sup> მიიჩნევა, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლებას, რომ მან წარმოადგინოს ამის დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა<sup>57</sup>. პატიმრობის ვადის შესახებ მსჯელობას ისევ მივყავართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან. მისი მესამე ნაწილი მოითხოვს, რომ თავისუფლების აღკვეთა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას. რაც შეეხება პატიმრობის ვადის გაგრძელებას, იგი დასაბუთებულია მაშინ, როდესაც სასწორზე დგას რეალური საზოგადოებრივი საჭიროება და ინტერესი პირის თავისუფლების უფლების საპირწონედ, უდანაშაულობის პრეზუმფციაზე თვალის დახუჭვით.<sup>58</sup> ამ გონივრული ვადის შეფასებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ არსებობს საქმე, სადაც იგი ადგენს გარკვეულ მაქსიმალურ ზღვარს, რას არ უნდა აღემატებოდეს პატიმრობის ვადა. ეს ლოგიკურია იქიდან გამომდინარე, რომ ყოველი საქმე საჭიროებს ინდივიდუალურ შეფასებას და არ შეიძლება საქმე შეფასდეს *in abstracto* მიდგომით.<sup>59</sup> მაგალითად საქმეში “კოლომპარი ბელგიის წინააღმდეგ” (1992) სასამართლომ მიიჩნია, რომ არ ჰქონდა ადგილი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ვ) ნაწილის დარღვევას, ვინაიდან, მიუხედავად დაკავების პერიოდის ხანგრძლივობისა (რომელიც 2 წელი და 8 თვე გაგრძელდა), ამ დაყოვნების დიდი ნაწილი განმცხადებლის ქმედებით იყო გამოწვეული. განმცხადებელს ჰქონდა წარდგენილი უამრავი განცხადება ექსტრადიციის

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

<sup>55</sup> მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წელი, გვ 55;

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Belchev v. Bulgaria*, პუნ. 82;

<sup>57</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე, *Salman v. Turkey*, პუნ. 100;

<sup>58</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Punzelt v. The Czech Republic*;

<sup>59</sup> < <https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b70010.html> > [13.05.2019]

ბრძანების აღსრულების გადასადებად.<sup>60</sup> თუმცა საქმეში “ქუინი საფრანგეთის წინააღმდეგ” (1995) დაახლოებით ორი წლის მანძილზე პირის დაკავება ექსტრადიციის მიზნით მიჩნეული იქნა როგორც დარღვევა, საქმეში “ჩრადი გერმანიის წინააღმდეგ” (2006) სასამართლომ ჩათვალა, რომ როგორც გამონაკლისი შემთხვევა, განმცხადებლის დაკავება 5 წლისა და 6 თვის განმავლობაში იყო გონივრული საერთაშორისო ტერორიზმის კონტექსტში. საქმე იყო განსაკუთრებით რთული, საჭირო იყო 169 მოწმის დაკითხვა და საქმეში ჩართული იყო 106 მოსარჩლე, ასევე საქმის მოსმენა 218-ჯერ სხვადასხვა დღეს ჩატარდა.<sup>61</sup>

#### 4.2 პატიმრობის ვადის გაგრძელების შესაძლებლობა

რაც შეეხება პატიმრობის ვადის გახანგრძლივებას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ-ის თანახმად პატიმრობის მაქსიმალური ვადაა 9 (ცხრა) თვე და არ არსებობს ნორმა, რომლის თანახმადაც შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება. განსახილველ შემთხვევაში მსჯელობის საგანია ის, რომ სახელმწიფო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, სადაც პირი იმყოფება პატიმრობაში და პატიმრობის ვადის ხელოვნურად გაჭიანურება დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის მაქსიმალური ვადაა 9 (ცხრა) თვე, მაქსიმალურად უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რომ საქმის წარმოება მორჩეს მოკლე ვადებში, რათა პირის პატიმრობის ვადას არ მიეცეს ხანგრძლივი ხასიათი. პატიმრობა ბევრი მიზეზით შესაძლოა გაგრძელდეს/გაჭიანურდეს, მაგალითად პროცესების ხშირი გადადებით, მტკიცებულებათა დროულად არ გამოკვლევით და ა.შ. ვადის გაგრძელების მიზეზი უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული. საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა არ უნდა მიუთითებდეს, რომ დაპატიმრების შემდგომი პერიოდი იწვევს კონსტიტუციურად დაუშვებელ დისპროპორციულობას დაპატიმრების კანონიერ მიზანსა და სამართლის ნორმის მიზანს შორის, ამ შემთხვევაში – მის საერთო ხანგრძლივობასა და მის აუცილებლობას შორის.<sup>62</sup> კონვენციის მე-5(3) მუხლის დარღვევა იქნება დადგენილი იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულმა სასამართლოებმა გაახანგრძლივეს წინასწარი პატიმრობა სასჯელის სიმკაცრის არგუმენტით და არსებული ფაქტების სრული იგნორირებით. მაგალითად, დაკავებულ პირს ჰყავს ოჯახი, ცხოვრების სტაბილური წესი და გარკვეული დროის შემდეგ შეთქმულების ან მიმალვის მოსალოდნელმა საშიშროებამ აზრი დაკარგა. ასეთი შემთხვევის მაგალითია საქმე *Ilijkov v. Bulgaria*, რომელშიც განმცხადებელი სამი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში.<sup>63</sup> ეროვნულმა სასამართლომ ევროპული სასამართლოს მსგავსად განმარტა, რომ საკითხი, გონივრულია თუ არა პირის პატიმრობაში დარჩენა, უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით და საქმისთვის მახასიათებელი გარემოებების მიხედვით. ნებისმიერ მოცემულ შემთხვევაში, განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლებული იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს

<sup>60</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე *Kolompar v. Belgium*;

<sup>61</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Chraidi v. Germany*;

<sup>62</sup> ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კორკელია კ-ს რედაქტორობით, თბილისი, 2010წ., გვ 190;

<sup>63</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, თბილისი, 2010, გვ. 29;

რეალური ნიშნები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის ჭეშმარიტ აუცილებლობაზე მიუთითებს, რაც, უდანაშაულობის პრეზუმპციის მიუხედავად, კონვენციის მე-5 მუხლში გათვალისწინებული ინდივიდის თავისუფლების დაცულობის წესს გადაწონის.<sup>64</sup> „უწინარეს ყოვლისა, სწორედ შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო ხელისუფლებას აკისრია პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თითოეულ შემთხვევაში, რომ ბრალდებულის პატიმრობამ გონივრულ ვადას არ გადაამეტოს. ამ მიზნით, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოეკიდოს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპს, შეისწავლოს ყველა არგუმენტი, რომელიც მეტყველებს კონვენციის მე-5 მუხლის თავისუფლების პრეზუმპციიდან გადახვევის გამამართლებელი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის სასარგებლოდ ან საპირისპიროდ და გაითვალისწინოს ისინი გათავისუფლების შუამდგომლობის თაობაზე მიღებულ თავის გადაწყვეტილებაში“<sup>65</sup>

#### *4.3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 16 სექტემბრის N#/3/646 გადაწყვეტილება*

პატიმრობის ვადასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სსსკ-ის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ, პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ “ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წაყენების შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა პატიმრობაში”.<sup>66</sup> ამავე საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარმოადგინა ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველომ“. სასამართლოს მეგობარი მიიჩნევს, რომ არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამართალშემფარდებელს უფლებას აძლევს, დროში თანხვედრი სისხლისსამართლის საქმეების მიმართ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულის პატიმრობის გახანგრძლივება. სასამართლოს მეგობრის აზრით, სადავო ნორმა კონსტიტუციით განსაზღვრული პატიმრობის დასაშვები მაქსიმალური 9-თვიანი ვადის მოთხოვნას შეესაბამება, თუმცა ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს იმდენად, რამდენადაც უგულებელყოფს თავისუფლების უფლების მნიშვნელობას, იძლევა ნორმის არაერთგვაროვანი წაკითხვის შესაძლებლობას და ვერ აკმაყოფილებს კანონიერების მოთხოვნას. სასამართლო იგივე

<sup>64</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის განჩინება, საქმე N 1/1373-15;

<sup>65</sup> იქვე;

<sup>66</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წელი, გვ. 609;

საქმეზე აღნიშნავს, რომ პირი უნდა ჩაითვალოს წინასწარ პატიმრობაში მყოფად, თუ ამ ბრალდების პერიოდში მის მიმართ ფაქტობრივად გამოყენებულია პატიმრობა რომელიმე სხვა სისხლისსამართლის საქმეზე. ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლისსამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. შესაბამისად, დაუშვებელია კონკრეტული სისხლისსამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, რომდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა (ნებისმიერ სისხლისსამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს. თუმცა აქვე აკეთებს განმარტებას, რომ ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს პატიმრობის გამოყენებას იმ დანაშაულისათვის რომელიც მან შემდეგ ჩაიდინა. სასამართლო კონსტიტუციურად მიიჩნევს აგრეთვე 9 თვიანი ვადის განმეორებით გამოყენებას, თუ ბრალდების მხარემ პირველ საქმეზე პატიმრობის შეფარდების შემდეგ გაიგო პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულში ბრალდებულად ცნობის საფუძვლის შესახებ. და აქვე იმეორებს ძირითად პრინციპს, რომ წინასწარი პატიმრობის მოთხოვნის ხელოვნურად გაჭიანურება და ვადის გახანგრძლივება არაკონსტიტუციურია.<sup>67</sup> მაგალითად მოცემული საფუძვლებით მანიპულირება, იმ პირობებში როდესაც რთულია გაიგო იცოდა თუ არა ბრალდების მხარემ პატიმრობამდე ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ყველაფერთან ერთად, მისასალმებელია ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს დამატებით გარანტიებს იმისათვის რათა პატიმრობის ვადასთან დაკავშირებული პრობლემატიკა განეიტრალდეს, კერძოდ სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით წინასასამართლო სხდომის მოსამართლე „ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი;“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნიდან გამომდინარე ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია, იგი უზრუნველყოფს გარანტიას აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებაში. ერთ-ერთ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ აღკვეთის ღონისძიების კანონიერება გადაისინჯება პერიოდულად, ეს უზრუნველყოფს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის გარანტიები დაცვას.<sup>68</sup>

## 5. პატიმრობის შეცვლა სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით

<sup>67</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე, *Samoila and Cionca v. Romania*. პარ 74;

## 5.1 პატიმრობის შეცვლის სამართლებრივი საფუძვლები

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის არაერთ საფუძველს შეიცავს. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმ მთელი ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზისით რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სადარაჯოზე დგას. იმისათვის, რომ ზედმიწევნით ზუსტად გავანალიზოთ პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის თავისებურება, საჭიროა იერარქიულად გამოვკვეთოთ ის სამართლებრივი ნორმები და პრინციპები, რომლებიც პირველ რიგში ადამიანის თავისუფლებას უზრუნველყოფს და შესაბამისად ზემოთხსენებული „ცვლილების“ განმაპირობებელნი არიან.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც ადამიანის თავისუფლება დაცულია. კონკრეტული დებულებით გარანტირებული დაცვა არ არის აბსოლიტური ხასიათის და ეს ვლინდება ნორმის მე-2 პუნქტშივე, სადაც განმარტებულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ის შტო რომელსაც ამ უფლების შეზღუდვის შეფარდება შეუძლია არის სასამართლო. მიუხედავად ამისა ნორმის პირველი დებულება მიზნად ისახავს ადამიანის თავისუფლების დაცვას არა მხოლოდ მანამდე ვიდრე მისი შეზღუდვა მოხდება არამედ ასეთი შეზღუდვის დროსაც. შესაბამისად ადამიანის თავისუფლების დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს გააჩნია მაშინაც კი როდესაც ასეთი თავისუფლების შეზღუდულია. სწორედ ამ ვალდებულების ნაყოფია ის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც პირველ რიგში უშვებს პატიმრობას როგორც უკიდურეს ზომას ხოლო შემდგომ იძლევა მისი შეცვლისა და გადასინჯვის შესაძლებლობას. კონსტიტუციის მე-13 მუხლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ თავის თავში განამტკიცებს ბრალდებულის პატიმრობისგან გათავისუფლების დროით საფუძველს. ზემოთხსენებული ნორმის მე-5 პუნქტის თანახმად ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. შესაბამისად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეცვლის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი ნათლად არის მოცემული საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო. ამ კონცეფციის გამოხატულებას წარმოადგენს მათ შორის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. შესაბამისად საერთაშორისო სამართალში განმტკიცებული თავისუფლების უფლება მოქმედია საქართველოს ტერიტორიაზე.

იერარქიით კონსტიტუციის შემდგომ საკვლევი თემის მიზნებისთვის უნდა აღინიშნოს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები. ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი შესაძლებლობას იძლევა პირი გათავისუფლებული იყოს პატიმრობიდან თუკი იარსებებს სასამართლოში გამოცხადების, სასამართლო გარჩევის ყველა სტადიაზე გამოცხადებისა და საჭიროების შემთხვევაში, განაჩენის შესასრულებლად გამოცხადების გარანტიები. საერთაშორისო ხელშეკრულება, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლისა და კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი და იერარქიით ზემდგომი ნორმატიული აქტია. ამასთანავე საყოველთაოდ აღიარებული თავისუფლებისდა გამო იგი უშუალოდ მოქმედებს. ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით პატიმრობის შეცვლის შემდგომ სამართლებრივ საფუძველად 1966 წლის პაქტის დებულებები განიხილება.

საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით აგრეთვე აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები, რომლებიც თავისი შინაარსის გათვალისწინებით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას რელევანტურ სამართლებრივ დებულებებს შეიცავს. ევრო კონვენციის მე-5 მუხლი არა მარტო ჩამოთვლის შეზღუდულად იმ გარემოებებს, როცა სახელმწიფო უფლებამოსილია პირს შეზღუდოს კონკრეტული თვისუფლება, არამედ ითვალისწინებს პირის თავისუფლებაზე ყოფნას საქმის განხილვის განმავლობაში თუ იქნება ამისათვის სათანადო გარანტიები და ამასთანავე მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად აქვს საკუთარი პატიმრობის მართლზომიერების შესამოწმებლად სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. ეს უკანასკნელი პროცესუალურ საფუძველს წარმოადგენს იმისას, რომ ხელისუფლების სათანადო რგოლმა შეამოწმოს რამდენად მართლზომიერი და კანონიერია პირის პატიმრობა.

კვლევის ეტაპზე არ უნდა დავივიწყოთ, რომ საერთაშორისო დოკუმენტების ანალიზი უნდა მოხდეს „პატიმრობის შეცვლის“ რელევანტური ვითარების გათვალისწინებით. ამასთანავე ყურადსაღებია ის გარემოება რომ ტერმინი „პატიმრობა“ „დაკავება“, „დაპატიმრება“, „თავისუფლების აღკვეთა“ და ა.შ. ყველა ქვეყნის კანონმდებლობისთვის ერთნაირი იურიდიული მნიშვნელობის არ არის, ამრიგად უნდა გამოვიდეთ თავად ნორმის შინაარსიდან და ყოველი დებულება სათანადო კონტექსტით განვიხილოთ ჩვენს კანონმდებლობასთან მიმართებით. კერძოდ სახელმძღვანელო ამვითარებაში არის ის გარემოება, რომ პირისადმი აღკვეთის ღონისძიების სახით უკვე გამოყენებულია პატიმრობა შესაბამისად მსჯელობა მიმდინარეობს იქითკენ თუ რა სამართლებრივი ბერკეტს ითვალისწინებს კანონმდებლობა მის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასათავისუფლებლად.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი წარმოადგენს იმ სამართლებრივ წყაროს რომელიც ასეთ ვითარებას შედარებით სპეციალურად არეგულირებს და შესაბამისად მასში ყველაზე უხვად ვხვდებით ამ საპროცესო ღონისძიების შეცვლის საფუძველს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მიხედვით პატიმრობა პირს არ უნდა შეეფარდოს თუ სახეზე არ იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიები გამოყენების მიზანი ესენია: ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების თავიდან არიდება, შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და განაჩენის აღსრულება. მართალია 198-ე მუხლი თავისი საზრისით მიმართულია იმ ვითარებისკენ, როდესაც პირის მიმართ ჯერ არ არის გამოყენებული რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიება, თუმცა მისი დებულება ისეთი იურიდიული შინაარსის მატარებელია, რომ ვრცელდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სრულ პერიოდზე. ამას მოწმობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განმტკიცებული თვისუფლების პრეზუმცია, რომლის თანახმადაც პირი უნდა იყოს თავისუფალი გარდა იმ შემთხვევისა თუ დადასტურდება მისი დაპატიმრების აუცილებლობა. შესაბამისად საკმარისია სახეზე არ გვქონდეს ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რომ პირი უნდა თავისუფლდებოდეს, როგორც პატიმრობისგან აგრეთვე რაიმე სხვა თავისუფლების შეზღუდვისგან. საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლი თავის 1-ლ პუნქტში, ასევე გამოჰყოფს პატიმრობისგან გათავისუფლების მეორე საფუძველს, რომელმაც შესაძლებელია პირი გაათავისუფლოს პატიმრობისგან მარა არა ყველა სახის აღკვეთის ღონისძიებისგან. კერძოდ თუ დადგინდება, რომ ზემოთჩამოთვლილი მიზნების მიღწევა შეიძლება ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით აუცილებლად უნდა მოხდეს პატიმრობის შეცვლა. იმ ფაქტს რომ ეს დებულება მხოლოდ პატიმრობის შეფარდების პროცესში არ გამოიყენება მათ შორის მოწმობს საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

პატიმრობის შეცვლის შემდეგი გარემოებას წარმოადგენს თავად აღკვეთის ღონისძიების

გამოყენების საფუძვლის არარსებობა, რომელიც გულისხმობს დასაბუთებული ვარაუდის არსებობას, რომ ბრალდებული მიიმალეა ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაბამისად თუკი სახეზე აღარ იქნება დასაბუთებული ვარაუდი აღარ გვექნება პატიმრობის გამოყენების საფუძველიც.

პატიმრობის შეცვლას საფუძვლად შესაძლოა დაედოს 207-ე მუხლი, რომელიც იძლევა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების ერთჯერადად გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ასეთი საჩივრის დასაშვებობის ცნობის შემდგომ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს. პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის მტკიცება გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ კონკრეტული მიზანი მიღწეულ იქნება პატიმრობით არამედ იმასაც, რომ სხვა უფრო ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მიზანშეუწონელია.

პატიმრობის გაუქმების საფუძველი ბუნებრივია იქნება იმ პირობათა გამორიცხვა, რომლის ასაცილებლადაც გამოიყენება პატიმრობა. ეს პირობები მსგავსია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა, თუმცა მაინც შეინიშნება მათ შორის გარკვეული სხვაობა. კერძოდ 205-ე მუხლის მიხედვით პატიმრობის გამოყენება დასაშვებია თუკი ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლა და ახალი დანაშაულის ჩადენა. ყურადღებას იმსახურებს 205-ე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომელიც პატიმრობის შეცვლის დროით სამართლებრივ საფუძველს შეიცავს. კერძოდ თუ წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულის დაკავებიდან 60 დღეზე მეტი გავიდა იგი თავისუფლდება პატიმრობიდან თუ არა არის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა. უფრო მეტიც 208-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებულია, ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად წინასასამართლო სხდომის გამართვის ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი დაკმაყოფილებიდან არაუგვიანეს 72 საათისა სასამართლო იწვევს მხარეებს, რათა დაადგინოს, აუცილებელია თუ არა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვება. ბუნებრივია უკანასკნელი დებულება ცქნის სათანადო სამართლებრივ საფუძველს პატიმრობის შესაცვლელად.

ბოლოს კი აღნიშვნას იმსახურებს 206-ე 219-ე მუხლის მე-4 და 230<sup>1</sup>-ე მუხლები. 206-ე მუხლი იძლევა მხარის შესაძლებლობას ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებისა და მტკიცებულებების შემთხვევაში დღის წესრიგში დასვას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების საკითხი. საგულისხმოა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება. გარდა ზემოთქმული შემთხვევისა 206-ე მუხლი აწესებს სასამართლოს შესაძლებლობას განიხილოს პატიმრობის შეცვლის საკითხი, როგორც წინასასამართლო სხდომაზე .ასევე საქმის არსებითად განმხილველ სხდომაზე. წინასასამართლო სხდომაზე სასამართლოს შესაძლებლობას ვალდებულებად გარდაქმნის 219-ე მუხლის მე-4 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ სასამართლო ვალდებულია თავისი ინიციატივით ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. რაც შეეხება 230<sup>1</sup> მისი დებულება ბმაშია ზემოთხსენებულ ნორმებთან და ქართულ სისხლის სამართლის პროცესში 2015 წელს ჰპოვა ასახვა. ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის

ლონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ნაწილით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით. უფრო მეტიც 230<sup>1</sup> -ე მუხლის მე-2 ნაწილი ზემოთქმულ დებულებას ავრცელებს იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლოს მიერ კოდექსის 225-ე მუხლისა და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განსაზღვრული საქმის არსებითი განხილვის დაწყების ვადა 2 თვეს აღემატება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნული თუ საერთაშორისო ნორმები ქმნიან იმ ძირითად ნორმატიულ საფუძველს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გამოტანილი პატიმრობის შეცვლა. აღნიშნული კი ემსახურება მხოლოდ ერთ რამეს, არ მოხდეს პირის უსაფუძლოდ ხანგრძლივი პატიმრობა.

## *5.2 პატიმრობის შეცვლის სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემები*

პატიმრობის შეცვლას არაერთი სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემა აქვს. ხშირ შემთხვევაში მთავარი სუბიექტი ვისთვისაც ცნობილია, რომ პატიმრობა აღარ არის მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი საშუალება არის პროკურორი, მაგალითად როდესაც მოპოვებულია საქმისათვის აუცილებელი ყველა მტკიცებულება. მიუხედავად ამისა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოსგან არ შეინიშნება შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის თაობაზე არადა პროკურორს, როგორც სახელწმიფოს წარმომადგენელს იმავე დოზით ევალება ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც სასამართლოს.

ზემოთქმული ვითარება შესაძლოა აიხსნას იმით, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო მიმართულია ეფექტურად და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს

## **6. პატიმრობის გაუქმება ან/და ძალაში დატოვება**

### *6.1 სასამართლოს ვალდებულება საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი*

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სასამართლოს ინიციატივით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის განმხილველ არაერთ დებულებას შეიცავს. მათ შორის აღსანიშნავია კოდექსის 230<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად მოითხოვს მოსამართლისგან საქმის განხილვას და პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობის დადგენას. მსგავსი დანაწესი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თუ რამდენად მნიშვნელოვანია თავისუფლების უფლება და რა სახის პოზიტიური

ვალდებულებანი აკისრია სახელმწიფოს კონკრეტული უფლებისადმი. „თავისუფლების ყოველგვარი შეზღუდვა უნდა იყოს განსაკუთრებული ღონისძიება, ობიექტურად დასაბუთებული, და არ გრძელდებოდეს აბსოლუტურად აუცილებელზე მეტ ხანს.“<sup>69</sup> პატიმრობის ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, საზოგადოების ჭეშმარიტი ინტერესები მოცემულ შემთხვევაში აღემატება პირადი თავისუფლების უფლებას. ამიტომ განმეორებითი დაპატიმრების ან დაპატიმრების ვადის გაგრძელება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს უწყვეტი კავშირი სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებასა და განმეორებით დაპატიმრებას შორის. სასამართლო ვალდებულია, საქმის როგორც ფაქტობრივი ისე ფორმალური გარემოებათა გათვალისწინებით განიხილოს და დაასაბუთოს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობა, მიზანშეწონილობა, როგორც პროცესუალური ისე მატერიალურ სამართლებრივი საფუძვლების არსებობა და მათი რელევანტურობა, რამაც უნდა შემქნას „საკმარისობა“ პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად.

სასამართლო ვალდებულია საკუთარ გადაწყვეტილებაში ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით ასახოს თუ როგორ და რატომ მივიდა პატიმრობის განმაპირობებელი მიზეზთა კვლავაც არსებობის დასკვნამდე. ვადის გაგრძელების მიზეზი უნდა იყოს მისაღწევი მიზნის პროპორციული. საქმის გარემოებების დეტალური შესწავლა არ უნდა მიუთითებდეს, რომ დაპატიმრების შემდგომი პერიოდი იწვევს კონსტიტუციურად დაუშვებელ დისპროპორციულობას დაპატიმრების კანონიერ მიზანსა და სამართლის ნორმის მიზანს შორის, ამ შემთხვევაში – მის საერთო ხანგრძლივობასა და მის აუცილებლობას შორის.<sup>70</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ 9 თვის განმავლობაში მყოფი პირის პატიმრობა იყოს უკანონო.

როგორც უკვე აღინიშნა პატიმრობის 9 თვიან ვადასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც სისხლისსამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი უნდა ჩაითვალოს პატიმრობაში მყოფად, თუ ამ ბრალდების პერიოდში მის მიმართ ფაქტობრივად გამოყენებულია პატიმრობა რომელიმე სხვა სისხლისსამართლის საქმეზე. ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლისსამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. დაუშვებელია პატიმრობის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეზე იმ მომენტიდან, როცა ბრალის წაყენების შემდეგ ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის ვადა (ნებისმიერ სისხლისსამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს.

მიუხედავად მსგავსი განმარტებისა და მიდგომისა საკონსტიტუციო სასამართლოს ყურადღების მიმართ არ დარჩენია საგამონაკლისო შემთხვევები. სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული არ უნდა განიმარტოს ისე, რომ თითქმის დაუშვებელია პატიმრობის განმეორებით გამოყენება და ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებს: თუ ბრალდების მხარე პიროვნებას 9 თვიანი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ჩადენილ დანაშაულზე ედავება ან თუ პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულში პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ პირველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ. მოცემული გარემოებანი ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული, რაც მათ შორის გულისხმობს: საქმის ხელოვნურ გაჭიანურებას, ბრალის ხელოვნურ წარდგენას და საკმარის ფაქტების არსებობისას შეგნებულად თავშეკავებას, რადგან შემდეგ ახალი ბრალდება პატიმრობის ვადის გაგრძელებისთვის იქნას გამოყენებული. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია,

<sup>69</sup> ლ. ფაფიაშვილი, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010 წ.გვ. 166

<sup>70</sup> იქვე, გვ. 190;

რომ კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი, ამავე მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში, დაუშვებლად მიიჩნევს პატიმრობის 9-თვიანი ვადით მანიპულირებას.<sup>71</sup> აღსანიშნავია, რომ პატიმრობის მაქსიმალური ვადის დადგენამ არ უნდა გამოირიცხოს პატიმრობის ვადის რეგულარული გადახედვა თითოეული კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.<sup>72</sup> ამიტომ კანონმდებელი ავალდებულებს სასამართლოს, რომ სასამართლო კონტროლი პატიმრობის გამოყენებაზე ავტომატურად, გონივრული პერიოდულობით<sup>73</sup> უნდა ხორციელდებოდეს და არ უნდა იყოს დამოკიდებული დაპატიმრებული პირის გადასინჯვის მოთხოვნაზე.

საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილი, მოსამართლეს ავალდებულებს, რომ წინასასამართლოს სხდომაზე განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი მხარის შუამდგომლობის მიუხედავად. სასამართლოს ვალდებულია ასევე, თავისი ინიციატივით 2 თვეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი. „ერთხელ მაინც“ თავისი გრამატიკული და ლოგიკური მნიშვნელობით გულისხმობს, რომ სასამართლო არაა შეზღუდული პერიოდულობით არამედ ეს წარმოადგენს კანონმდებლის მინიმალურ მოთხოვნას. მას სათანადო რესურსის ქონის შემთხვევაში უფრო ხშირადაც შეუძლია აღნიშნული საკითხის განხილვა. ამ მუხლის დანაწესი ბრალდებულისთვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს, რათა უსაფუძვლოდ არ რჩებოდეს პატიმრობაში. ვინაიდან პროცესის მიმდინარეობისას შესაძლოა გამოირიცხოს ის რისკები, რის გამოც აუცილებელი გახდა პატიმრობის გამოყენება.

სავსებით შესაძლებელია აღარ არსებობდეს მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე, რადგან ყველა მტკიცებულება მოპოვებულია, ან გამოირიცხოს მოწმეებზე ზემოქმედება თუკი მივიღებთ ისეთ მოცემულობას, რომ ყველა მოწმე დაკითხულია და მათზე ზემოქმედება ვეღარ მოხდება.

გადასინჯვის უფლებაზე საუბარია ასევე, ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, კერძოდ „ჯეციუსი ლიტვის წინააღმდეგ“<sup>74</sup>, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირებს აძლევს უფლებას, მათი თავისუფლების აღკვეთა გადასინჯულ იქნეს იმ საპროცესო და მატერიალური პირობების მხედველობაში მიღებით რაც არსებითია. პატიმრობის საკითხის გადასინჯვის და განხილვისას აუცილებელია სასამართლოს ჰქონდეს ფაქტები, რომ საფრთხე, რისთვისაც პატიმრობაშია ბრალდებული კიდევ არსებობს, თუმცა დაუშვებელია ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელება მოსალოდნელი საპატიმრო სასჯელის საფუძველზე<sup>75</sup> „გამოძიების საწყის ეტაპზე პატიმრობა შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულის ხასიათისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების აუცილებლობით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობით, მაგრამ არც ერთი ეს გარემოება არ არის საკმარისი პატიმრობის ვადის გაგრძელებისათვის.“<sup>76</sup> შესაბამისად სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს რელევანტური ფაქტორებით და გაითვალისწინოს მოვლენათა შესაძლო განვითარება, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მართლმსაჯულების განხორციელებას.

<sup>71</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/646, 2015 წლის 15 სექტემბერი;

<sup>72</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2006)13 წვერი სახელმწიფოებისადმი პატიმრობის გამოყენების, მისი განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 27 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 974-ე სხდომაზე) ;

<sup>73</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Assenov and Others v Bulgaria*, §162;

<sup>74</sup> 16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Jecius v. Lithuania*, § 100;

<sup>75</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tomasi v. France*;

<sup>76</sup> იქვე.

„როგორც წესი, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც გამოძიების ორგანოსთვის ცნობილი იყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნამდე დიდი ხნით ადრე, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ვეღარ გამოდგება პატიმრობის ვადის გაგრძელების დასაბუთებისათვის. იმავდროულად, პატიმრობის ძალაში დატოვებისათვის ყოველთვის არ არის აუცილებელი ახალი გარემოების არსებობა. მაგალითად, მიმალვის საფრთხის მტკიცებისათვის ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისათვის, როდესაც საფრთხის არსებობა გამომდინარეობს ბრალდებულის წინარე ქმედებებიდან და პიროვნებიდან.

პატიმრობის გამოყენების გაგრძელებისათვის ახალი გარემოების არსებობა, როგორც წესი, აუცილებელია მოწმეებზე ზემოქმედების ან/და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის კვლავაც არსებობის მტკიცებისათვის, ვინაიდან აღნიშნული საფრთხე დროის ხანგრძლივობის პირდაპირ პროპორციულად კლებულობს. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსამართლე საბოლოო ჯამში იღებს გადაწყვეტილებას იმ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, რომელი ჩვენებებიც სასამართლო განხილვის ეტაპზე მისცეს მოწმეებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ, რაც ხდება არსებითი განხილვის სხდომაზე, იმ შემთხვევაში თუ მოსამართლემ პატიმრობა ბრალდებულს მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის თავიდან ასაცილებლად შეუფარდა, აღნიშნული საფრთხე არსებითი განხილვის ეტაპზე მუდმივად იარსებებს, რადგან ბრალდების მხარემ მოწმეები არსებით განხილვაზე უნდა დაკითხოს და ბრალდებულმა შესაძლოა მისი სასარგებლო ჩვენების მიცემა აიძულოს, გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენების მიუხედავად, რამაც არსებითად შეიძლება შეუშალოს ხელი მართლმსაჯულების განხორციელებას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

აქვე იკვეთება გარკვეული სამართლებრივი პრობლემა, კანონმდებლობა არ შეიცავს დეტალურ დეფინიციას თუ რა შეიძლება შეფასდეს მოწმეზე ზემოქმედებად და ბუნებრივია მსგავსი დეტალების აღწერა მისი მრავალფეროვანი რაობის გამო შეუძლებელიცაა. პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როდესაც თავისუფლებაზე მყოფ ბრალდებულს სურს გამოარკვიოს გარკვეული ინფორმაცია მოწმისგან, შესაძლებელია კი ყოველგვარი მსგავსი ინტერაქცია შეფასდეს ზემოქმედებად? დაცვის მხარეს, რომლის ლეგალური დეფინიციაც ბრალდებულსაც მოიცავს აქვს უფლება მოიპოვოს ინფორმაცია და გამოარკვიოს მის დასაცავად საჭირო გარემოებანი, საჭიროა კანონმდებელმა დააკონკრეტოს ნეგატიური ზემოქმედების საზრისი და სასამართლომ გაითვალისწინოს არა კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება არამედ შინაარსობრივი, წინააღმდეგ შემთხვევებში შესაძლებელია პირისთვის ნეგატიური შედეგები დადგეს.

## *6.2 მხარის მოთხოვნის საფუძველზე პატიმრობის გაუქმების სამართლებრივი საფუძველები*

სისხლის სამართლის პროცესი ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღნიშნა მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებათა დასაცავად სასამართლოს ეძლევა ლეგიტიმაცია და შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით ჩაერთოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის პროცესში. თუმცა ძირითადი აქტორი მაინც თავად მხარეები არიან. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის უფლება მხარეს გააჩნია ნებისმიერ სტადიაზე. ისე, როგორც პირველი წარდგენის სხდომიდან წინასასამართლო სხდომამდე, აგრეთვე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ზღუდავს მხარეს მხოლოდ აღნიშნული სტადიებით და მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საკითხის განხილვის შესაძლებლობას

ითვალისწინებს სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, გონივრული პერიოდულობით. სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილი აღგენს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/გადასინჯვის წინაპირობას. ინიციატორმა მხარემ უნდა წარმოადგინოს ახალი გარემოება, რომელიც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევას. შესაბამისად, თუ მხარემ მოიძია ახალი არსებითი გარემოება იმისდა მიუხედავად, იმავე სტადიაზე უკვე იმსჯელა თუ არა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე, მას შეუძლია შუამდგომლობის თავიდან დაყენება.<sup>77</sup> განსხვავებულად წესრიგდება ვითარება მაშინ, როდესაც მხარე ასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. საქართველოს სსს-ის 207-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. როგორც ნორმის შინაარსიდან ირკვევა იგი ერთჯერადი ხასიათის მატარებელია, განსხვავებით ამავე კანონის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილისგან რომელიც არ იზღუდება დროითი და პერიოდული ფაქტორებით.

საინტერესოა რა შეიძლება ჩაითვალოს 206-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ „ახალ გარემოებად.“ საგულისხმოა, რომ ახალ გარემოებას მიეკუთვნება ასევე გარემოება, რომელიც განჩინების გამოტანის მომენტისათვის ცნობილი იყო მხარისათვის, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი სასამართლოში და მისი არსებობა უცნობი იყო მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლოსთვის. ახალმა გარემოებამ უნდა შეამციროს ან გააქარწყლოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ საფთხეების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა. თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები დაადასტურებს, რომ საფრთხე აღარ არსებობს, მაშინ ბუნებრივია არ იარსებებს არც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. სასამართლო შეისწავლის რა ახლად გამოვლენილ გარემოებას, იხელმძღვანელებს რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით. პირველ რიგში, გამიჯნავს მას აწ უკვე განხილული გარემოებისგან და დაასკვნის თუ რამდენად განსხვავდება იმ საკითხისგან, რომლებზეც სასამართლოს უკვე ნამსჯელი აქვს. ამის შემდგომ შინაარსობრივად ფასდება თუ რამდენად უზრუნველყოფს ახალი გარემოება მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელებას და თუ ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა შესაძლებელი იქნება გაუქმდეს პატიმრობა. საგულისხმოა, რომ ყოველ შემთხვევაში დაცვის მხარეს მხოლოდ და მხოლოდ ევალება ახალი გარემოების წარდგენა, ხოლო ის რომ იგი არსებითად ვერ ცვლის პატიმრობის გამოყენების საფუძველებს პროკურორის სამტკიცებელია.

ახალი გარემოების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ბრალდებულის აქტიური თანამშრომლობა გამოძიებასთან. ეს უკანასკნელი გავლენას ახდენს გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახეზე და მეტწილად განსაზღვრავს გამოძიების წინაშე არსებული რისკების ინტენსივობას. სასამართლო ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას და გამოძიებასთან აქტიურ თანამშრომლობას მიიჩნევს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველების შეცვლად, და ეს დასტურდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით. სასამართლოს მსჯელობის თანახმად აღიარება და თანამშრომლობა წარმოადგენს იმ ახალ არსებით გარემოებას, რაც არ გამოუკვლევია სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას და რომელთა გამოკვლევასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მართლზომიერებაზე.<sup>78</sup>

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სისხლის

<sup>77</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარ. გამომც. “მერიდიანი” თბ.2015 გვ. 615

<sup>78</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29/01/2015 წლის განჩინება, საქმე N1გ/98

სამართლის საპროცესო კოდექსი პატიმრობის გაუქმების არაერთ საფუძველს იძლევა, რომლის განმახორციელებელი სუბიექტი შესაძლოა, როგორც მხარეები ასევე საკუთარი ინიციატივით სასამართლო იყოს.

### *6.3 სასამართლოს მიდგომები პატიმრობის გაუქმების ან/და ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას და მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი.*

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები მაქსიმალურად ცდილობენ პატიმრობა გამოყენებული იქნას უკიდურეს შემთხვევებში. ყოველი სისხლის სამართლის საქმე არის ინდივიდუალური და შესაბამისად მოსამართლეთა მიდგომაც ხშირ შემთხვევაში პატიმრობის გაუქმების ანდა ძალაში დატოვების ნაწილში განსხვავებულია.

როგორც ზემოთ აღინიშნა სასამართლო ვალდებულია, წინასასამართლოს სხდომაზე და მას შემდგომ ყოველ ორთვეში საკუთარი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხი, ასევე მხარეს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა დააყენოს შუამდგომლობა პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხვის განხილვა ხდება საქართველოს სსსკ-ის 206-ე მუხლით დადგენილი წესით, ანუ სასამართლო უფლებამოსილია პატიმრობა შეცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სახეზეა რაიმე ახალი გარემოება ან/და მტკიცებულება, რაც დაადასტურებს, რომ პატიმრობის გაგრძელება მიზანშეუწონელია. ლოგიკურია დაისვას კითხვა, რა შეიძლება იყოს ახალი გარემოება ან/და მტკიცებულება? აღნიშნულს საპროცესო კოდექსი არ განმარტავს და ეს საკითხი სასამართლოს შესაფასებელია. საკითხვის უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი ჩემი პირადი პრაქტიკიდან. ბრალდებულ გ.მ. ბრალი ედებოდა მასზედ, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ბინაში უკანონოდ შეღწევით. აღკვეთის ღონისძიების სახედ მას შეეფარდა პატიმრობა. სასამართლომ პატიმრობა დაასაბუთა იმით, რომ ბრალდებულისათვის ცნობილი იყო მოწმეთა ვინაობის შესახებ და მას შესაძლოა ზემოქმედება მოეხდინა მათთვის მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხე. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება მიიჩნია უდაოდ, შესაბამისად მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებები გამოკვლევის გარეშე მიიჩნევა დადასტურებულად. აღნიშნულის საფუძველზე დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის წინაშე, რომ შეცვლილიყო აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა, ვინაიდან მტკიცებულებების უდაოდ მიჩნევა წარმოადგენდა არსებითად ახალ გარემოებას და თან აღარ არსებობდა მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხე. ლოგიკურია დავსვათ კითხვა, ბრალის აღიარება და მტკიცებულებების უდაოდ მიჩნევა არის თუ არა ახალი გარემოება და უნდა შეეცვალოს თუ არა ბრალდებულს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება? ხსენებული შუამდგომლობა სასამართლოს მიერ არ იქნა დაყმარებული და პატიმრობა დარჩა ძალაში იმ საფუძველზე, რომ ეს არიყო საკმარისი საფუძველი პატიმრობის შესაცვლელად.<sup>79</sup> განვიხილოთ შემდეგი მაგალითი პრაქტიკიდან, სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებულს ბრალად ედებოდა ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა. აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე ბრალდებულმა განმარტა, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა დროის სიმცირიდან გამომდინარე ვერ მოახერხა შესაბამისი მტკიცებულებების სხდომაზე წარმოდგენა. წინასასამართლოს სხდომაზე ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, მტკიცებულებები მიიჩნია უდაოდ და ასევე წარმოადგინა

<sup>79</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის განჩინება, საქმე N 01082218002767170;

სამედიცინო ისტორია, სადაც აღნიშნული იყო, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და ესაჭიროებოდა მუდმივი ექიმის მეთვალყურეობა. ამ საფუძვლით დაცვის მხარემ მოითხოვა პატიმრობის უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლა. სასამართლოს მიერ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და პატიმრობა დარჩა ძალაში, შემდეგ გარემოებათა გამო, ვციტირებ განჩინებიდან „მართალია დაცვის მხარემ წარმოადგინა სამედიცინო ისტორია, თუმცა ეს არ არის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ბრალდებულს არ შეუძლია ციხის პირობებში ყოფნა და მხოლოდ სამედიცინო ისტორია ვერ გახდება პატიმრობის შეცვლის საფუძველი, მით უფრო მაშინ, რომ სასაჯელარსრულების დაწესებულებებში არის მედპერსონალი“. შემდეგი მაგალითი პრაქტიკიდან - ბრალდებულ მ.ნ-ს ბრალი ედებოდა მასში, რომ ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, კერძოდ მეუღლის მიმართ განხორციელება ფიზიკური ძალადობა, აღკვეთის ღონისძიებად მას შეეფარდა პატიმრობა შემდეგ გარემოებათა გამო - არსებობდა მტკიცებულებებზე ზემოქმედების საფრთხე და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, ვინაიდან ბრალდებული აგრესიულად იყო განწყობილი დაზარალებულის მიმართ. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, ასევე დაცვის მხარემ წარმოადგინდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც დაზარალებული წასული იყო საზღვარგარეთ და არ აპირებდა საქართველოში დაბრუნებას. სწორედ ამ საფუძვლით დააყენა ადვოკატმა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, რაც არ დაკმაყოფილდა და პატიმრობა დარჩა ძალაში, იმ მოტივით, რომ დაცული უნდა ყოფილიყო დაზარალებულის უსაფრთხოება. ეხლა განვიხილოთ მაგალითები, სადაც სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობები. ერთერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ კ.ს-ს ბრალი ედებოდა ქურდობაში, ჩადენილი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ორჯერ ნასამართლევი პირის მიერ (სასჯელი 6-დან 10 წლამდე). ბრალდებულის ქმედება გამოიხატა შემდეგში: მან ფარულად ერთერთი მაღაზიიდან დაეუფლა „წვერის საპარს ჯილეტს, ერთ ცალ ლუდს (0.5 ლ) და სუნამოს (ღირებულება 25 ლ). იმის გამო, რომ ბრალდებული ორჯერ იყო ნასამართლევი ანალოგიური ქმედებისათვის მიუხედავად დაუფლებული ნივთების მცირე მნიშვნელობისა მის მიმართ დაწყებული იქნა სისხლის სამართლებრივი დევნა და აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა, სწორედ იმ საფუძვლით, რომ მის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე მაღალი იყო. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით განიხილა აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხი და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ განუსაზღვრა გირაო 2000 ლარი და გაათავისუფლა პატიმრობიდან. აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი იყო ის, რომ ვციტირებ განჩინებიდან „ ბრალდებულს იმდენად მცირე ღირებულების ნივთები აქვს დაუფლებული დასაბუთებული ვარაუდით, რომ პატიმრობა ამ შემთხვევაში არის ზედმეტად მკაცრი“,<sup>80</sup> აქაც ლოგიკურია დაისიას კითხვა, რა ახალი გარემოება მიიღო სასამართლომ მხედველობაში პატიმრობის შესაცვლელად?. ერთერთ სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდებულ ზ.შ-ს ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობაში, კერძოდ მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს, საქმის მასალებით დასტურდებოდა ისიც, რომ ბრალდებული წარსულში ნასამართლევი იყო იმავე ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში, რაზეც მოიხადა სასჯელი, თუმცა ნასამართლობა გაქარწყლებული იყო. პირველი წარდგენის სხდომაზე სწორედ ამ საფუძვლით, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო პატიმრობა. პატიმრობის საკითხი გადაისინჯა წინასასამართლო სხდომაზეც და დარჩა ძალაში. არსებითად განმხილველმა მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით განიხილა აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობის საკითხი და პატიმრობა შეცვალა გირაოთი, იმ საფუძვლით, რომ ბრალდებულს ნასამართლობა ჰქონდა გაქარწყლებული და ის არუნდა გამოყენებულიყო

<sup>80</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის საოქმო განჩინება N 1-1030/17

მის საუვარესოდ.<sup>81</sup> შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი სხვა მაგალითიც, რომელთა განხილვაც შორს წავიყვანს.

კარგად ჩანს, რომ პატიმრობის შეცვლა და ძალაში დატოვება პრაქტიკულ დონეზე ბევრი პრობლემით ხასიათდება. ყველაზე დიდი პრობლემა სასამართლოს მაღალი სტანდარტი პატიმრობის შესაცვლელად. საპროცესო კოდექსი არ ავლდებულებს სასამართლოს მაინცდამაინც მხარემ წარუდგინოს მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პატიმრობის მიზანშეუწონლობას, მთავარია არსებობდეს, რაიმე ისეთი არსებითი ახალი გარემოება, რაც პირველი წარდგენის სხდომაზე არ იყო ცნობილი. განხილულ მაგალითში, ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და უდაოდ გახადა მტკიცებულებები, რათქმაუნდა არის არსებითად ახალი გარემოება, პირველი რიგში იმიტომ, რომ ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, მეორე იმიტომ, რომ ბრალდებული ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას და მესამე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ის საფრთხე, რაც არსებობდა პირველი წარდგენის სხდომაზე - მოწმეზე ზემოქმედების საფრთხე, აღარ არსებობს. რაც შეეხება მეორე მაგალითს, სადაც სასამართომ სამედიცინო ისტორიის საფუძველი არ მიიჩნია საკმარისად მიმაჩნია, რომ დასაბუთებულია, ვინაიდან აღნიშნული ალკვეთის ღონისძიების საფრთხეების ნეიტრალიზაციის დამადასტურებელი ახალი გარემოება არ ყოფილა. რაც შეეხება მაგალითს, სადაც სასამართლომ პატიმრობა შეცვალა ზიანიდან გამომდინარე, რათქმაუნდა უსაფუძლოა, რადგან ალკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი ნამდვილად არ იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებულს დაუფლებული ჰქონდა მცირე მნიშვნელობის ნივთები, ეს არ იყო რაიმე ახალი არსებითი გარემოება, რაც არ არსებობდა მანამდე.

ახლა კი განვიხილოთ, რამოდენიმე მაგალითი, სადაც სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა. ერთერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულს ბრალი ედებოდა ოჯახში ჩადენილ მუქარასა და ძალადობაში, კერძოდ ბრალდებულმა გ.ე-ე ცემა დედა, ასევე თანნაქონი დანის გამოყენებით დაემუქრა, რომ მოკლავდა. ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი ალკვეთის ღონისძიება იყო პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა და ალკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული იქნა გირაო. განჩინება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში, სადაც დაკმაყოფილდა საჩივარი და ბრალდებულის მიმართ ალკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული იქნა პატიმრობა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა ბრალდებულის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე, ვინაიდან, როცა პირი ჯერ ფიზიკურ ძალადობას აყენებს მშობელს, შემდგ კი მას დანის გამოყენებით ემუქრება, რათქმაუნდა მეტყველებს იმაზე, რომ ის არის მტრულად განწყობილი მის მიმართ და მაღალია საფრთხე დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების.<sup>82</sup> საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილება მიიღო მიიღო სააპელაციო სასამართლომ პატიმრობა შეცვალა გირაოთი ანალოგიური კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე. ბრალდებულ ი.მ-ს ბრალი ედებოდა მასზედ, რომ ჩაიდინა ოჯახში ძალადობა, კერძოდ ცემა და, ასევე დაემუქრა მას, რომ მოკლავდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა პატიმრობა, რაც გასაჩივრდა დაცვის მხარის მიერ, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და ბრალდებულს შეუფარდა გირაო.<sup>83</sup> პირველი მაგალითისაგან განსხვავებით სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა კომფლიქტის მიზეზი და ასევე ის, რომ ბრალდებულმა ძალადობის განხორციელების შემდგომ თვითონ გამოიძახა სასწრაფო

<sup>81</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის საოქმო განჩინება N 623/18

<sup>82</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 01 ივნისის N1/გ/337 განჩინება

<sup>83</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის N1/გ-797 განჩინება

სამედიცინო დახმარების ბრიგადა, ასევე გამოცხადდა პოლიციაში და აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე დაეთანხმა კიდევ პროკურორს იმაზე, რომ მის მიმართ გამოყენებულიყო პატიმრობა. სასამართლომ განმარტა, რომ ყველა ეს გარემოება ერთობლიობაში მიუთითებდა იმაზე, რომ ბრალდებული არიყო მტრულად განწყობილი ოჯახის წევრის მიმართ, ის ნანობდა ჩადენილ ქმედებას და გაათვითცნობიერა კიდევ რა ჩაიდინა, შესაბამისად მისი მხრიდან შემდგომი ძალადობების ჩადენის რისკი იყო დაბალი და გირაოც იქნებოდა საკმარისი ღონისძიება.

განხილული რამოდენიმე მაგალითით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატიმრობის ძალაში დატოვების ან/და გაუქმების გადაწყვეტილებები არის განსხვავებული და არ არსებობს ერთიანი მიდგომა. არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებები განპირობებულია თითოეული საქმის განსაკუთრებულობით. ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია ბრალდებულის ქცევაზე, მის განმარტებებზე სასამართლო სხდომის დარბაზში.

ვფიქრობ, რომ სასამართლოების მხრიდან უფრო მეტი ყურადღებით უნდა შეფასდეს აღკვეთის ღონისძიების საფრთხეების რეალურობა, მისი შეფასება უნდა მოხდეს, როგორც საქმის მასალებით, ისე ბრალდებულის პიროვნების, მისი დამოკიდებულების მიხედვით. თავისუფლების შეზღუდვა იმდენად მძიმეა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომ შესაძლოა ერთმა და ორმა დღემ ბრალდებულის დამოკიდებულება საკითხის მიმართ რადიკალურად შეცვალოს, არა იმიტომ, რომ მას შეეშინდეს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის არამედ მოხდეს მისი რეაბილიტაცია, გათვითცნობიერება იმისა, რომ მისმა ქმედებებმა არა მხოლოდ მას მოუტანა ზიანი, არამედ შელახა კონკრეტული პირის უფლებები და ინტერესები. სწორედ ამ დროს არის სასამართლოს როლი უმნიშვნელოვანესი, როდესაც ეს ცვლილება აისახება ბრალდებულზე და მისი მხრიდან განმეორებითი დანაშაულის, მტკიცებულებებზე ზემოქმედების და მიმალვის საფრთხე კლებულობს უნდა მოხდეს მისთვის შანსის მიცემა და ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება. სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არის მკაცრი იმის გამო, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან. ბრალდებულს, რომლისაც ბრალი ედება მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და საქმეზე დიდი ალბათობის შესაძლოა გამოტანილი იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი, რაც თავისთავად გულისხმობს პირის პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივ ყოფნას სასჯელის მოხდის მიზნით. აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა და ძალაში დატოვების საკითხის საფუძვლიანად შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება ერთჯერადად და მის კანონიერებას ზემდგომი ინსტანცია სწავლობს მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების შემთხვევაში.

## **7. პატიმრობის გამოყენების თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში**

### *7.1. პატიმრობის გამოყენების რეგულაცია საერთო სამართლის ქვეყნებში*

პატიმრობის რეგულაცია მსოფლიოს მასშტაბით განსხვავებულია და ამ განსხვავებას იწვევს თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივი მიდგომა კონკრეტული საკითხისადმი. უფრო მეტიც განსხვავებებს ვაწყდებით არა მხოლოდ სხვადასხვა სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში არამედ თავად საერთო სამართლის ქვეყნებშიც. განსხვავებულია პატიმრობის შემფარდებელი სუბიექტი; მისი ხანგრძლივობა და საპროცესო საფუძვლებიც კი.

კვლევის მიზნებისათვის საჭიროა სამაგალითოდ განვიხილოთ საერთო სამართლის ქვეყნის მიდგომა ამ საკითხისადმი. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება გაერთიანებული სამეფო კერძოდ კი ინგლისი და უელსი, რადგან მიიჩნევა, რომ სწორედ ეს სახელმწიფო არის საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობის ფუძემდებელი.

წინასასამართლო პატიმრობა, რომელიც აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენება ინგლისსა და უელსში რეგულირდება 1976 წლის „Bail Act“-ითა და არაერთი პროცედურული წესებით.<sup>84</sup> ეს მიუთითებს იმაზე, რომ პატიმრობისათვის არ არსებობს ერთიანი ფუძემდებლური ნორმა, რომელიც ფუძემდებლურად მოაწესრიგებდა საკითხს.

დაკავებული პირი წარედგინება მაგისტრატს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს გაათავისუფლოს ბრალდებული თუ გამოიყენოს საპატიმრო ღონისძიება.<sup>85</sup> გაათავისუფლება არ გულისხმობს თავისუფლების არ შეზღუდვას სასამართლო მოსმენამდე. იგი საერთო სამართლის მქონე კონკრეტულ ქვეყანაში განიხილება, როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიება გარდა პატიმრობისა, რომელიც მათ შორის შესაძლოა მართლაც არ მოიცავდეს რაიმე სახის შეზღუდვით ღონისძიებას.

მაგისტრატი მოსამართლის ქმედებას არეგულირებს 1980 წლის მაგისტრატი სასამართლოების აქტი. მას შემდგომ რაც მაგისტრატი მიიღებს გადაწყვეტილებას შესაძლებელია საქმე გადაეცეს ე.წ „გვირგვინის სასამართლოს“ თუმცა აღსანიშნავია, რომ ყოველი მსგავსი ნაბიჯი ინდივიდუალურად რეგულირდება დანაშაულთა კატეგორიებისა და რაობის მიხედვით, რაც განსხვავებულ იურიდიულ ლოგიკაზე მიუთითებს. გვირგვინის სასამართლოს შესწევს უნარი გააუქმოს მაგისტრატის გადაწყვეტილება<sup>86</sup> ან დატოვოს იგი ძალაში, თუმცა ეს ყოველივე მიმდინარეობს იმის ფონზე, რომ მოქმედებს თავისუფლების პრეზუმპცია. პირი შესაძლოა დაპატიმრებულ იქნას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ასეთ მიზეზს მათ შორის სასამართლო განხილვისგან თავის არიდება. კონკრეტულზე ყურადღების გამახვილება ღირს იმ თვალსაზრისით, რომ თავად 1976 წლის აქტი ზღუდავს ამ საფუძველს. კერძოდ ნორმა უშვებს ამ საფუძველის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი პირმა წარსულში უკვე სცადა სასამართლოსა და მართმსაჯულებისგან თავის არიდება. თუმცა ამ ზოგადი წესიდან მოქმედებს გამონაკლისი იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ დანაშაულებზე წარსულში ჩადენილი გადაცდომის აუცილებლობა არ მოქმედებს.

ინგლისისა და უელსის კანონმდებლობისთვის ასევე ცნობილია „სავალდებულო პატიმრობის“ ფენომენი, რაც მაგალითაც უცხოა საქართველოს კანონმდებლობისთვის.

კერძოდ „სავალდებულო პატიმრობა“ გულისხმობს არა პატიმრობის აბსოლიტურ საფუძველს არამედ პირის თავისუფლების იმგვარ შეზღუდვას, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნას გამოყენებული აღკვეთის სახით სხვა ღონისძიება. უხეშად, რომ ვთქვათ ეს არის პატიმრობის პრეზუმპცია და იგი მოქმედებს მსგავსად: თუკი პირს ბრალი ედება მკვლელობაში მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისგან განსხვავებული ღონისძიების გამოყენება შეუძლია მხოლოდ გვირგვინის მოსამართლეს, რაც გულისხმობს იმას, რომ მაგისტრატი მოსამართლე ვერ შეუფარდებს პირს არასაპატიმრო ღონისძიებას.

რაც შეეხება „სავალდებულო პატიმრობის“ მეორე მაგალითს წარმოადგენს შემდეგი, როდესაც წარსულში მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობაში, გაუპატიურებაში, მის მცდელობასა ან/და სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულში მსჯავრდებულ პირს კვლავ ედავებიან იმავე დანაშაულის ჩადენას ასეთ შემთხვევებში პირს აუცილებლად უნდა შეეფარდოს პატიმრობა თუ კი სასამართლო არ მიიჩნევს ვითარებას განსაკუთრებულ საგამონაკლისო შემთხვევად.<sup>87</sup> ინდივიდუალურად რეგულირდება პატიმრობის ვადებიც.

<sup>84</sup> A. Sanders, R. Young and M. Burton, *Criminal Justice* (Oxford University Press, Oxford 2011), pp. 526-530.

<sup>85</sup> Magistrates' Courts Act (MCA) 1980, ss. 2, 17 and 19; Crime and Disorder Act 1998, s. 51; and Criminal Justice Act 2003, Sch. 3, D. Ormerod (ed), *Blackstone's Criminal Practice 2015* (Oxford University Press, Oxford 2014), Part D

<sup>86</sup> Senior Courts Act 1981, s. 81(1).

<sup>87</sup> Coroners and Justice Act 2009, s. 115.

პატიმრობის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება საქმის რაობისა და საპროცესო საფეხურის მიხედვით. საინტერესოა ისიც, რომ განსხვავებით ქართული კანონმდებლობისგან ისინი ერთნაირი მოცულობით ვრცელდება, როგორც არასრულწლოვან ისე სრულწლოვანზე. ზოგადად მაქსიმალური ვადა წინასასამართლო სხდომამდე განსაზღვრულია 56 დღით თუმცა შესაძლებელია მისი გაგრძელება 70 დღის ვადით. თუ საქმე გადაეცა გვირგვინის სასამართლოს პატიმრობის ვადას 70 დღეს ემატება 182 დღე, რაც ჯამში გვაძლევს 252 დღეს ანუ 36 კვირას. კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულია ვადების მაქსიმალური ოდენობა, თუმცა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონკრეტული დანაშაულებების მიხედვით პროკურორის შუამდგომლობისა და მართმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით ვადათა გაფართოვება.<sup>88</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში შეინიშნება გაცილებით ინდივიდუალური მიდგომა ვიდრე ეს კონტინენტური სამართლის ქვეყნებშია. ინდივიდუალიზმში იგულისხმება ის, რომ დაკავების ვადა პირის სასამართლოში წარდგენამდე და პატიმრობის ვადა განსხვავდება დანაშაულთა და ქმედების სიმძიმის მიხედვით.

## 7.2 პატიმრობის გამოყენების საპროცესო წესი კონტინენტური სამართლის ქვეყნებში

ევრო კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. მიუხედავად ნორმის დებულებებისა სასამართლო ერთმნიშვნელოვნად არ აწესებს ვადებს კონკრეტული რიცხვებისა და ხანგრძლივობების გამოყენებით და აღიარებს, რომ ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში ხდება. მიუხედავად ამისა სასამართლო უსხვამს ხაზს, რომ ასეთი ნიშნული უნდა არსებობდეს.

მიუხედავად ასეთი მოწოდებისა ევროპაში მაინც არსებობს სახელმწიფოები, რომლებსაც არ აქვთ გაწერილი კონკრეტული მაქსიმალური ვადა პატიმრობისა ასეთებია ფინეთი; შვედეთი. მიუხედავად სახელმწიფოსთვის ასეთი შეზღუდვის არარსებობისა ეს არ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას.

კონტინენტური სამართლის ქვეყნის მაგალითზე მიზანშეწონილია განვიხილოთ გერმანიის საკანონმდებლო მოწესრიგება, რამეთუ საქართველოსთვის იგი არცთუ ისე უცხოა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ინგლისისა და უელსისგან გერმანიაში პატიმრობის საკითხი წესრიგდება ერთიანი საკანონმდებლო დოკუმენტით გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. გერმანიის კონკრეტული საკანონმდებლო აქტი ზედმიწევნით უსვამს ხაზს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის თავისუფლება და თუ როგორი საფრთხეს უქმნის მთლიანად საზოგადოებას მისი გაუმართლებელი შეზღუდვა.

გერმანულ სამართალში შეხვდებით ტერმინს “Untersuchungshaft,” რაც თვისუფლების შეზღუდვას მოიცავს არა მხოლოდ პატიმრობის იმ ვადით სანამ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გამოვა, არამედ მოიცავს აპელაციის პერიოდსაც. შესაბამისად იმისათვის, რომ ვისაუბროთ ჩვენთვის რელევანტურ „პატიმრობაზე“ უნდა გამოვყოთ კონკრეტული ნორმები კოდექსიდან. გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით დაკავებული პირი სასამართლოს უნდა წარედგინოს რაც შეიძლება სწრაფად, თუმცა ეს ვადა არ უნდა სცდებოდეს 48 საათს.

<sup>88</sup> Prosecution of Offences Act 1985, s. 22.

პატიმრობის ზოგადი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ამ ვადის გაზრდა, შესაბამისად გერმანული სამართალი უშვებს 6 თვიანი ვადის 12 თვემდე გაზრდას, თუკი სახზე იქნება განსაკუთრებული სირთულის გამოძიება.

კოდექსი ამყარებს პროპორციულობის ტესტს, რაც გულისხმობს იმას, რომ პატიმრობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი თავისუფლების შეზღუდვის ეს ზომა პროპორციული ქინება ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეებისა. შესაბამისად ისევე, როგორც ქართული სისხლის სამართლის კოდექსი გერმანიაშიც პატიმრობა დაიშვება მხოლოდ როგორც უკიდურესი საშუალება.<sup>89</sup>

## 8. სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკური მონაცემები პატიმრობის გამოყენების თაობაზე შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ

### 8.1 სასამართლო პრაქტიკა

სასამართლოს პრაქტიკის გაანალიზებისათვის სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა 60 განჩინება, სადაც 60-ვე შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. ხსენებული განჩინებებიდან 50 შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული იქნა შუამდგომლობა, ხოლო 10 შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნა გირაო. სასამართლოს განჩინებების გაანალიზებისას გამოკვეთილი იქნა შემდეგი საკითხები:

1. განჩინებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სასამართლო აუცილებლად აფასებს მტკიცებულებით ნაწილს, თუმცა არ შედის მის დეტალურ მიმოხილვაში. თითქმის ყველა განჩინებაში მითითებულია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდით ადასტურებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, რის შემდგომაც იწყება მხოლოდ მტკიცებულებების ჩამოთვლა. მიმაჩნია, რომ ამ ნაწილში სასამართლოებმა უფრო დეტალურად უნდა მიმოიხილონ მტკიცებულებები და მხოლოდ მათი ჩამოთვლა საკმარისი არ არის;
2. ასევე, აბსოლუტურად ყველა განჩინებაში, სანამ მსჯელობა დაიწყება უშუალოდ პატიმრობის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილებაზე, საკმაოდ მოცულობითი მსჯელობაა ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. განჩინებებში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე სასამართლო შედარებით ნაკლებად დასაბუთებულად მსჯელობს ვიდრე უშუალოდ პატიმრობის გამოყენებაზე;
3. განჩინებების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ პატიმრობის დაკმაყოფილების დროს უმრავლეს შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია მძიმე ანდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. სასამართლო საფრთხეებზე აპელირებისას ყურადღებას ირიბად ამახვილებს მოსალოდნელი სასჯელის შიშზე, თუმცა აღნიშნულს პატიმრობის გამოყენების

<sup>89</sup> A.M. van Kalmthout M.M. Knapen C. Morgenstern (eds.), An Analysis of Minimum Standards in Pre-trial Detention and the Grounds for Regular Review in the Member States of the EU, 2009, page 420;

- საფუძვლად არ უთითებს. განჩინებების დასაბუთებისას სასამართლო მიმალვის ერთერთ საფრთხედ სწორედ სასჯელს ასახელებს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ ეს არ არის ერთადერთი საფუძველი, რის გამოც ის იყენებს პატიმრობას;
4. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სასამართლოს ყველა განჩინებაში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მინიმუმ ორი პრეცედენტული გადაწყვეტილება, რითაც მოსამართლე ასაბუთებს პატიმრობას;
  5. სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს ჩადენილი დანაშაულის ხასიათს. გამოიკვეთა, რომ როდესაც ბრალდებულს ბრალად ედება მმართველობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავით გათვალისწინებული ქმედება, სასამართლოს მიდგომა შედარებით მკაცრია. მაგალითისათვის, გაანალიზებული განჩინებებიდან რამოდენიმე შემთხვევაში პირს ბრალი ედება პოლიციის მუშაკზე თავდასხმასა და წინააღმდეგობაში. სასამართლო ჩადენილი ქმედების ხასიათს მიიჩნევს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფუძვლად და უთითებს, რომ სამართლადამცავი ორგანოს თანამშრომელზე თავდასხმა მის არასათანადო დამოკიდებულებაზე მიუთითებს მართლწესრიგის ნორმების მიმართ და იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოები ამ კატეგორიის დანაშაულებზე კატეგორიულად გამორიცხავს მტკიცებულებათა ზემოქმედებაზე საფრთხეს და განმარტავს, რომ საქმეზე გამოკითხული მოწმეები არიან პოლიციის თანამშრომლები და მათზე ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა ბრალდებულს არ გააჩნია;
  6. განჩინებების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა ნაწილი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხის დასაბუთებისას მხედველობაში იღებს პირის გაქარწყლებულ ნასამართლობას. არაერთ განჩინებაში მითითებულია, რომ ბრალდებულს წარსულში კომფლიქტი ჰქონდა კანონთან, რაც მის პიროვნებაზე ნეგატიურად მოქმედებს. სასამართლო გაქარწყლებულ ნასამართლობას არ ითვალისწინებს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების დასაბუთებისას, მაგრამ კანონიერად მიმაჩნია ბრალდებულის პიროვნების შესაფასებლად გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება;
  7. მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას სასამართლო დიდ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, არის თუ არა ბრალდებული საქართველოს მოქალაქე, ყავს თუ არა ოჯახი, გააჩნია თუ არა მუდმივი სამუშაო ადგილი და საცხოვრებელი. განჩინებების ანალიზისას ირკვევა, რომ როდესაც ბრალდებული არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ანდა აქვს მას ხშირი საზღვრის კვეთება სასამართლო ამას მიმალვის საფრთხის ერთერთ არგუმენტად იყენებს;
  8. პატიმრობის გამოყენებისას დიდი ყურადღებას უთმობს სასამართლო ნასამართლობას. თუკი აღკვეთის ღონისძიების განხილვისას პირს აქვს აქტიური ნასამართლობა, ამას სასამართლო ყოველთვის დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხედ აღიქვამს;
  9. გამოიკვეთა ისიც, რომ რიგ შემთხვევებში სასამართლოები ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაულში და მსგავსი პიროვნული მახასიათებლების მქონე ბრალდებულების მიმართ სხვადასხვა სახის აღკვეთ ღონისძიებას იყენებს. მაგალითისათვის ერთერთ საქმეზე ოჯახურ ძალადობაში ბრალდებულს, რომელსაც ბრალად ედება საქართველოს სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და არ იყო ნასამართლავი აღკვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა პატიმრობა, ხოლო ანალოგიურ შემთხვევაში მეორე პირს გირაო. განჩინებების დასაბუთებისას ორივე შემთხვევაში საუბარია დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე და

მტკიცებულებებზე ზემოქმედებაზე. თუმცა ერთ შემთხვევაში მოსამართლეს მიაჩნია, რომ ამ საფრთხეების პრევენცია შესაძლებელი იყო მხოლოდ პატიმრობით, ხოლო მეორე შემთხვევაში მოსამართლეს მიაჩნია, რომ გირაო საკამარისი იქნებოდა საფრთხეების განეიტრალებისთვის.<sup>90</sup>

10. გამოიკვეთა, რომ სასამართლოები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ პატიმრობის გამოყენებისას დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე და მტკიცებულებებზე ზემოქმედებაზე. მაგალითისათვის ოჯახური ძალადობის საქმეებზე სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს ჩადენილი ქმედების მიზეზს და დაზარალებულის პოზიციას. იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც დაზარალებული განმარტავს, რომ მასზე ძალადობა სისტემატურად ხდებოდა სასამართლო აღვეთის ღონისძიების სახედ იყენებს პატიმრობას და მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე მაღალია. ხშირ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე მტკიცებულების სახით წარადგენს დაზარალებულის პოზიციას, რომ მას პრეტენზია არ გააჩნია ოჯახის წევრის მიმართ და არ სურს მისი პატიმრობა. ამ დროსა სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში იყენებენ გირაოს. მიმაჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე ოჯახური ძალადობის საქმეზე დაზარალებულის მსგავსი პოზიცია სასამართლომ შემამსუბუქებლად არ უნდა მიიჩნიოს, ვინაიდან ოჯახური ძალადობის მსხვერპლები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან და მათი მხრიდან პიზიციის ცვლილება მხოლოდ იმით არის განპირობებული, რომ მათ არ სურთ ოჯახის წევრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
11. გამოიკვეთა ისიც, რომ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე სასამართლო თუკი არ არის დაცვის მხარის შუამდგომლობა ნაკლებად მსჯელობის დაკავების კანონიერებაზე და მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ დაკავების დროს ადგილი არ ჰქონია საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევას. მიმაჩნია, რომ ისეთი სახის საპროცესო იძულებითი ღონისძიება, როგორცაა დაკავება მეტად უნდა გადამოწმდეს და შეფასდეს სასამართლოს მიერ;
12. გამოიკვეთა, ისიც, რომ პატიმრობის არ დაკმაყოფილების შემთხვევაში აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში გამოიყენება გირაო, პატიმრობის უზრუნველყოფით. გამოთხოვილი განჩინებებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნა სასამართლოს მიერ ბრალდებული დაკავებიდან გათავისუფლებული, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურორს შუამდგომლობა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული - დაკავებიდან 48 საათიანი ვადის დარღვევით ჰქონდა სასამართლოში შეტანილი;
13. დადებითად უნდა შეფასდეს, ის რომ სასამართლოები სრულყოფილად აცნობენ ბრალდებულს უფლებებს და იმას თუ რაში ედება მას ბრალი, ასევე უმარტავენ მოსალოდნელი შედეგების თაობაზე;

რაც შეეხება იმ განჩინებებს, სადაც სასამართლომ აღკვეთის სახით მოთხოვნილი პატიმრობა არ დააკმაყოფილა, გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები:

---

<sup>90</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 4 დეკემბრის N10/ა-386 განჩინება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 მარტის N010802219002911985 განჩინება.

1. იმ შემთხვევებში, რომ პატიმრობის დაკმაყოფილება არ ხდება ძირითად შემთხვევებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე;
2. ბრალდების მხარის მიერ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნა ხდება ძირითად შემთხვევაში ოჯახური ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ბავშვზე ძალადობის საქმეებზე, სხვა შემთხვევაში იშვითი გამოწვევის გარდა პატიმრობის მოთხოვნა არ ხდება, შესაბამისად განსახილველი განჩინებები ძირითად შეეხება ამ კატეგორიის დანაშაულებს. სასამართლოები ძირითად მიზეზად პატიმრობის არ დაკმაყოფილებისას ასახელებენ იმას, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ ხდება დასაბუთება, იმისა, თუ რატომ ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება საფრთხეებს;
3. გამოიკვეთა ისიც, რომ სასამართლოების მხრიდან პატიმრობის არ დამკამყოფილების შემთხვევაში ბრალდებულს გარდა გირაოსი საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად აკისრებენ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს, როგორცაა მაგალითად კვირაში ერთხელ გამომძიებელთან გამოცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩაბარება, დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა და სხვ;
4. გამოკვეთილი განჩინებებიდან, სადაც არ მოხდა პატიმრობის დაკმაყოფილება რამოდენიმე პირს ბრალი ედებოდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენაშიც. უმრავლეს შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. ამ დროს ბრალდების მხარის აპელირება ძირითად შემთხვევაში იყო სასჯელის სიმძიმე და ზიანის არსებობა. სასამართლოები ამ კატეგორიის დანაშაულებზე მიიჩნევენ, რომ პატიმრობის გამოყენება ზედმეტად მკაცია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პატიმრობის გამოყენება საკმაოდ რთულ და კომპლექსურად გადაწყვეტად საკითხს წამოადგენს. მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში და რათქმაუნდა აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო, როგორც უკვე აღინიშნა აფასებს პირველი, რამდენად არის საქმეში მტკიცებულებები, რაც დასაბუთებული ვარაუდით ადასტურებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს და მეორე რამდენად არის სახეზე აღკვეთის ღონისძიების ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები. იმისათვის რათა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა აუცილებელია არსებობდეს საამისოდ საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტი. აღკვეთის ღონისძიების განმხილველი მოსამართლე არ იკვლევს მტკიცებულებებს და არ შედის მის განხილვაში, თუმცა აფასებს მტკიცებულებას იმ მოცულობა რა მოცულობითაც მასთან იქნება წარდგენილი. მხარეს არ შეუძლია აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე შევიდეს მტკიცებულების განხილვაში და ამტკიცოს მისი უტყუარობა და სარწმუნოობა. ამ ფონზე შეიძლება ითქვას, რომ აღკვეთის ღონისძიებაზე მტკიცებულებითი სტანდარტი მხარეთა მიერ წარდგენილი ინფორმაციაა მისი გამოკვლევის, შეფასების და ნამდვილობის დადასტურების გარეშე. მიუხედავად ამისა სასამართლოები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას ხშირად იშველიებენ მოწმეთა გამოკითხვის ოქმებს ან/და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებების შინაარსობრივ მხარეს. მაგალითად ბათუმის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში ვკითხულობთ, „დაზარალებულ ნ.მ-ს გამოკითხვის ოქმით ირკვევა, რომ მისი მეუღლე მასზე წლების განმავლობაში ძალადობს, რაც ამაღლებს ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს“.<sup>91</sup> ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულის პიროვნებას აღკვეთის

<sup>91</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 აპრილის N010802218002420934 განჩინება

ლონისძიების შეფარდებისას, ვგულისმობ მის ქცევას სასამართლო სხდომის დარბაზში. ხშირ შემთხვევაში ბრალდებულები სასამართლოში პირველი წარდგენისას პრეტენზიულები და აგრესიულები არიან, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ისე სასამართლოს მიმართ, რაც რათქმუნდა მის უპატივცემულობაზე მიუთითებს მართლწესრიგის მიმართ და სასამართლოს ნეგატიურ განწყობას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საქმე არის ინდივიდუალური, სასამართლოებში გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას სასამართლო უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს ჩადენილი დანაშაულის ხასიათზე. ძალადობრივ დანაშაულებზე სასამართლოს მიდგომები უფრო მკაცრია ვიდრე სხვა კატეგორიის დანაშაულებზე, მაგალითად ოჯახური ძალადობის საქმეებზე, რომელიც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს მიეკუთვნება პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი უფრო მაღალია ვიდრე მაგალითად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ან/და ნარკოტიკულ დანაშაულებზე, მაშინ როდესაც ხსენებული თავით გათვალისწინებული დანაშაულები ხშირ შემთხვევაში მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება. ეს შესაძლოა განპირობებული იყოს მხოლოდ იმით, რომ ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნამ ოჯახური ძალადობის საქმეებზე შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დაზარალებულის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. სასამართლოები აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად განიხილავენ დაზარალებულის პოზიციას (თუკი არსებობს დაზარალებული). საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში, თუკი ბრალდებულის ქმედებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებულია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იშვიათად ხდება. მართალია ზიანის ანაზღაურების ანდა აუზადავრებლობის საკითხი არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს, თუმცა აღნიშნული მეტყველებს ბრალდებულის პიროვნებაზე, მის დამოკიდებულებაზე ჩადენილი ქმედების მიმართ და სურვილზე, რომ მოხდეს მისი ქმედების დარღვეული სამართლებრივი სიკეთის კომპენსირება. სასამართლოების ამგვარი პოზიციის ერთერთი მიზეზია ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე გააკეთა განმარტება ზიანთან დაკავშირებით. მაგალითად ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბარფუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“ დიდი ოდენობით ვალის არსებობის ფაქტი გადამწყვეტ ფაქტორად ჩათვალა მიმალვის საფრთხის შეფასებისას და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში პატიმრობის გამოყენება მიზანშეწონილი იყო.

სასამართლოს სტანდარტი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას საკმაოდ მაღალია. სასამართლო ცდილობს გამონაკლის შემთხვევებში დაუშვას პირისათვის პატიმრობის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებულია საერთო მიდგომები და სტანდარტები იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და რა შემთხვევებში შესაძლოა იქნას გამართლებული პატიმრობის გამოყენება მაინც არის შემთხვევები, რაცა გადაწყვეტილებები ერთი შეხედვით თანხვედრაში არ მოდის ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, თუმცა ეს გამოწვეულია იმითი, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმე და ბრალდებული არის ინდივიდუალური.

აშშ-ში პატიმრობა საკმაოდ ფართოდ გამოიყენება. 1999 წელს პატიმრობა შეეფარდა თითქმის 14,4 მილიონ ამერიკელ. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთა რომელიც გამოყენებული იყო იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს გადაცდომა ან ნაკლებად საშიში დანაშაული<sup>92</sup>

<sup>92</sup> კ. ვ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007წ., გვ. 283;

## 8.2 საქართველოს გენერალური პროკურატურის და სასამართლოს სტატისტიკა

როგორც ზემოთაღნიშნა დღითი-დღე იზრდება, როგორც ბრალდების მხარის მხრიდან, ისე სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთებულობის სტანდარტები. შესაძლოა ვთქვათ, რომ რამდენადაც დასაბუთებულია პატიმრობის მოთხოვნის შუამდგომლობა იმდენად მაღალია ალბათობა იმისა, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული იქნება ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წლების მიხედვით თანდათან მცირდება აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის მაჩვენებელი. ხსენებული კვლევისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური სექტორიდან გამოთხოვილი იქნა 2014 წლიდან - 2019 წლის აპრილის თვის ჩათვლით ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებლები და სასამართლოს გადაწყვეტილება. მოცემული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წელს ბრალდების მხარის მიერ მოხდა 7176 პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნა, საიდანაც 568 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 4365 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 2060 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 183 შემთხვევაში საერთოდ არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიება. 2015 წლის მონაცემებით პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 6196 პირის მიმართ, საიდანაც 290 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 3678 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 2137 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 91 შემთხვევაში საერთოდ არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 2016 წლის მონაცემებით პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 5044 პირის მიმართ, საიდანაც 266 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 3082 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 1682 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 54 შემთხვევაში საერთოდ არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 2017 წლის მონაცემებით პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 4506 პირის მიმართ, საიდანაც 187 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 3249 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 1041 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 29 შემთხვევაში საერთოდ არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 2018 წლის მონაცემებით პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 5784 პირის მიმართ, საიდანაც 214 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 4308 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 1249 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 13 შემთხვევაში საერთოდ არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 2019 წლის ოთხი თვის მონაცემებით პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 2434 პირის მიმართ, საიდანაც 69 შემთხვევაში შუამდგომლობა დარჩა განუხილველი, ვინაიდან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, 1786 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება დაკმაყოფილდა, 576 შემთხვევაში მოთხოვნილი აღკვეთის

ლონისძიება არ დაკმაყოფილდა და გამოყენებული იქნა უფრო მსუბუქი სახის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო 6 შემთხვევაში საეთოდ არ იქნა სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება.<sup>93</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკაში, როცა სასამართლოს მიერ პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებას პატიმრობას სასამართლო აკმაყოფილებს, უმრავლეს შემთხვევაში ხსენებული განჩინებები საჩივრდება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიებში. სტატისტიკური მონაცემებით დგინდება, რომ 2014 წელს სააპელაციო სასამართლოების საგამომიებო კოლეგიების მიერ პატიმრობა შეეცვალა 24 პირს, 2015 წელს 31 პირს, 2016 წელს 25 პირს, 2017 წელს 35 პირს, ხოლო 2019 წლის 3 თვის მონაცემებით 11 პირს.<sup>94</sup>

ხსენებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზით მივდივართ დასკვნამდე, რომ:

1. დროთა განმავლობაში ბრალდების მხარის მიერ მცირდება პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი, ზრდადობის ტენდენცია შეიმჩნევა 2018 წლის მონაცემებით, თუმცა ეს გამოწვეულია სახელმწიფოს სტრატეგიის ცვლილებით ოჯახური ძალადობის საქმეებზე, რაც წარმოადგენს გამოწვევას და პრიორიტეტს საქართველოს პროკურატურისათვის და იშვიათი გამონაკლისის გარდა თითქმის ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ ხდება ამ კატეგორიის დანაშაულებზე პატიმრობის მოთხოვნა;
2. ასევე, ნათლად ჩანს ის ფაქტიც, რომ წლების გასვლასთან ერთად მატულობს პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან დაკმაყოფილების მონაცემები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბრალდების მხარის შუამდგომლობები არის უფრო დასაბუთებული და არგუმენტირებული;
3. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ წლების მიხედვით საგრძნობლად მცირდება იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც საერთოდ არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ 2014 წლის შემდგომ დღემდე უფრო და უფრო დასაბუთებული ხდება შუამდგომლობები არა პატიმრობის, არამედ ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას.

## დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისათვის სათანადო საფუძვლებსა და მიზნებს ადგენს. მიუხედავად რეგულაციების ზოგადი გამართულობისა უმჯობესი იქნება თუკი კანონმდებლობა დაიხვეწება არაერთ ნაწილში, მაგალითად: მაშინ, როდესაც ერთსა და იმავე სუბიექტს, რომელსაც შესაძლოა ჩამოყალიბებულ აქვს შინაგანი რწმენა პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით არ ექნება პატიმრობის გადასინჯვის ექსკლუზიური შესაძლებლობა. ზემოთქმული არ უნდა იქნას გაგებული ისე თითქოს მოსამართლის მიერ პროაქტიულად პატიმრობის გადასინჯვა ქართული სისხლის საპროცესო სამართლისთვის უკანგადადგმული ნაბიჯი იყოს პირიქით სწორედ ეს ცვლილებებია საფუძველი უკეთესი რეგულაციებისა.

<sup>93</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა

<sup>94</sup> იქვე.

მიუხედავად ნორმათა ზოგადი სამართლებრივი გამართულობისა, პრაქტიკაში მაინც წარმოიშობა პატიმრობის გამოყენების, შეცვლის და გაუქმების პრობლემური საკითხები. კვლევის მიზანიყო სწორედ ასეთი პრობლემების გამოკვეთა, რაც მათ შორის გამოიხატა: სასამართლოს არათანმიმდევრულ მიდგომაში პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით; სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ცვლადობასა და დინამიურობაში; საქმისადმი ნაკლები ინდივიდუალიზმით მიდგომაში და სხვა. მათ შორის მსგავსი პრობლემების წარმოშობა განპირობებულია არასაკმარისი მატერიალური ბაზისით, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება, დანაშაულთა სიმრავლისთან მეტროდოლ არასათანადო რაოდენობის ადამიანურ რესურსებში, თუმცა ეს ვერ გაამართლებს პროცესის ვერცერთ მონაწილეს, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე ზეგავლენას ახდენს.

ნაშრომში განხილულია არამხოლოდ ამ პრობლემების ჩამონათვალი, არამედ მათი გამომწვევი მიზეზების თეორიული და პრაქტიკული თვალსაწიერი, რომელიც ნათელს ჰფენს თუ კონკრეტულ შემთხვევაში ვინ არის პრობლემის მთავარი ადრესატი და რომელ ორგანოს ეკისრება მათზე უპირველესი რეაგირება.

შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით დადგინდა, რომ საკითხი რომელიც პრობლემური იყო საქართველოში გამოყენებული პატიმრობის ვადასთან დაკავშირებით, საერთოდ არ წარმოადგენს გამოწვევას მათ შორის ევროპის სახელმწიფოებისთვის. ამ მხრივ თამამდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი ვადის მაქსიმალური ლიმიტის გათვალისწინებით უკეთ არის რეგულირებული ვიდრე იმ სახელმწიფოებში სადაც ეს ლიმიტი არ არსებობს ან 9 თვეზე გაცილებით მეტ დროს მოიცავს.

საბოლოოდ იმისათვის, რათა თავიდან ავირიდოთ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები უნდა ვიხმელდვანელოთ ევროსასამართლოს მიერ დადგენილი ფორმულით, რომელიც ამ დროისათვის ოქროს შუალედს პოულობს სახელმწიფოს ინტერესებსა და ინდივიდის უფლებებს შორის. ამ ფორმულის თანახმად თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვისათვის საჭიროა რამდენიმე ტესტის ერთობლიობა კერძოდ: ა) ფორმალური (პროცესუალური; ბ) ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) გ) ინდივიდუალობის და დ) ხარისხობრივი. თუკი პირველ რიგში სახელმწიფო ბრალდება, ხოლო შემდგომ მის გადაწყვეტილებაში სასამართლო სათანადოდ დაასაბუთებს, რომ სახეზეა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის პროცესუალურ საფუძველს კონკრეტული ინდივიდის მიმართ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით სათანადო ხარისხით გამოყენებულ იქნას პატიმრობა მაშინ ზემოთქმული უფლება არ დაირღვევა. მათგან ერთ-ერთი პირობის არარსებობაც კი გამორიცხავს პატიმრობას და ამას მოწმობს არა მხოლოდ თეორია არამედ ნაშრომში განხილული პრაქტიკული მაგალითები.

## ბიბლიოგრაფია

### I სამეცნიერო ლიტერატურა

1. მჭედლიძე ნ., ჭელიძე ლ., პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, თბილისი, 2004 წ;
2. აისლინგ რეიდი, წამების აკრძალვა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის განხორციელება, თბილისი, 2005 წ;
3. კ. ფ. გუცენკო , ლ. ვ. გოლოვკო , ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007 წ;
4. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 2009 წ;
5. ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კორკელია კ-ს რედაქტორობით, თბილისი, 2010 წ.;
6. ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010წ;
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარ. გამომც. “მერიდიანი” თბილისი, 2015 წ;
8. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზვრიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წ;
9. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, 2017 წ;
10. ფაფიაშვილი ლ., დაკავებისა და დაპატიმრების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები სისხლის სამართლის პროცესში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, კორკელია კ-ს რედაქტორობით, თბილისი, 2010 წ.;
11. D. Ormerod (ed), Blackstone’s Criminal Practice 2015 (Oxford University Press, Oxford 2014)
12. A.M. van Kalmthout M.M. Knapen C. Morgenstern (eds.), An Analysis of Minimum Standards in Pre-trial Detention and the Grounds for Regular Review in the Member States of the EU, 2009

### II სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია (31-33, 24/08/1995);
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (სსმ, 41(48), 13/08/1999);
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსმ, 31, 03/11/2009);

4. 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია;
5. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (25/05/2000);
6. Magistrates' Courts Act (MCA) 1980, ss. 2, 17 and 19; Crime and Disorder Act 1998, s. 51; and Criminal Justice Act 2003;
7. Senior Courts Act 1981, s. 81(1);
8. Coroners and Justice Act 2009, s. 115.

## **IV სასამართლო გადაწყვეტილებები/განჩინებები**

### **4.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 15/09/2015 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი N-646;

### **4.2 საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები**

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №-1გ/1282;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 დეკემბრის განჩინება №1გ/1234;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმე № 1გ/556-17;
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1გ/1199-17;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29/01/2015 წლის განჩინება, საქმე N1გ/98 ;
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მონიტორინგის ანგარიში N1, თბილისი, 2012 წელი;
7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის განჩინება, საქმე N 1/1373-15.

### **4.3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Netherlands, Norway, Sweden, Turkey, United Kingdom V. Greece*

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Matznetter v. Austria*.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 8 დეკემბრის განჩინება საქმეზე, *Pretto and Others v. Italy*
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Tomasi v. France*
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 24 სექტემბრის განჩინება საქმეზე, *Kolompar v. Belgium*
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *W. v. Switzerland*.
7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის განჩინება საქმეზე, *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*
8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Mansur v. Turkey*
9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Muller v. France*
10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *I.A v. France*
11. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Contrada v. Italy*.
12. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Assenov and Others v Bulgaria*;
13. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Brumarescu v. Romania*
14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Punzelt v. the Czech Republic*
15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Ceský v. the Czech Republic*.
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 27 ივნისის განჩინება საქმეზე, *Salman v. Turkey*
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Jecius v. Lithuania*;
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Barfuss v. the Czech Republic*
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 27 სექტემბრის განჩინება საქმეზე, *Hirvisaari v. Finland*
20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Belchev v. Bulgaria*
21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Becciev v. Republic of Moldova*. PARTLY DISSENTING OPINION OF JUDGE PAVLOVSKI IN THE CASE OF BECCIEV AGAINST MOLDOVA

22. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე *Chraidi v. Germany*.
23. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლი 17 იანვრის განჩინება საქმეზე, *Ryakib Biryukov v. Russia*, No. 14810/02.
24. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 7 თებერვლის განჩინება საქმეზე, *Kostadinov v. Bulgaria*
25. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 4 მარტის განჩინება საქმეზე, *Samoila and Cionca v. Romania*
26. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის განჩინება საქმეზე *Aleksandr Makarov v Russia*
27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Bordikov V. Russia*
28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 1-ლი აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Gultyayeva V. Russia*

### V მოხსენებები და რეკომენდაციები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 27 იანვრის მოხსენება საქმეზე, *Minasyan v. Armenia*.
2. ევროპული კომისიის 1982 წლის 16 დეკემბრის მოხსენება საქმეზე *Krocher and Moller v. Switzerland*
3. CPT-ის მე-6 ზოგადი მოხსენება (1996 წ.), მე-15 პუნქტი და CPT-ის მე-9 ზოგადი მოხსენების (1999 წ.) ანალოგიური კომენტარები
4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის 27 სექტემბრის რეკომენდაცია, 13 წევრის ახელმწიფოებისადმი პატიმრობის გამოყენების, მისი განხორციელების პირობებისა და ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

### VI ელექტრონული წყაროები

1. <<https://www.fairtrials.org/campaign/pre-trial-detention>> [01.06.2019]
2. <<https://www.refworld.org/cases,ECHR,3ae6b70010.html>> [13.05.2019]